ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ნიკა გვარამია: „მოსამართლემ მთავარი არხის დირექტორობიდან მომხსნა“


გვ.5

„სასამართლოში მხოლოდ კვირაში ერთხელ ვივლი“

11 თებერვლიდან
კორნელი ბოროზდინი
სამეგრელო და სვანეთი
ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



ოთხშაბათი, 12 თებერვალი, 2020 | №35 (8299) | ფასი: 60 თეთრი

# სერგი კაპანაძე: „გვაქვს მოლოდინი, რომ დაჭერები გაგრძელდება“


გვ.2

„არსებული სისტემით „ოცნებას“ მაგრად მოვუგებთ“

## „ოცნებამ“ ოპოზიციასთან დიალოგის ჩასაშლელად ყველაფერი გააკეთა“

შალვა შავგულიძე: „ივანიშვილი ანგარიშს მხოლოდ პუტინის რუსეთს უწევს“

გვ.3




გვ.2

## ნინო ბურჯანაძე: „რევოლუციას არ გამოვრიცხავ“

## ნინო გოგუაძე: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთის სივრცეში აბრუნებს“

„ივანიშვილი აპრილის დასაწყისამდე ვის დაჭერასაც მოასწრებს, ყველას დაიჭერს. ის რეპრესიებს ბოლომდე მიიყვანს“


გვ.3

## „გიგი უგულავას დაჭერა განახლებული რუსული სქემების ნაწილია“

მირიან მირიანაშვილი: „მაყურებელმა უნდა დაიჯეროს, რომ ივანიშვილი და ბოკერიას პარტია ერთმანეთს ებრძვიან“


გვ.4


გვ.3

## სუსის უფროსი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს შეხვდა


გვ.4

## მამუკა ტუსკაძე: „გიგი უგულავა ახლა არ უნდა დაეპატიმრებინათ. მისთვის პირობითი სასჯელი უნდა მიესაჯათ“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 გიორგი კვირიკაშვილი: „ჩემი და გიგი უგულავას პოლიტიკური მრწამსი რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ მისი დაჭერა არ შეიძლებოდა“

2 ზაქარია ქუცნაშვილი გარდაბნის თბოსადგურის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა

5 კოლეგიას, რომელმაც უგულავას პატიმრობა მიუსაჯა, შალვა თადუმაძე თავმჯდომარეობდა
ნინო ლომჯარია: „საქმეში ბევრი ხარვეზი იკვეთება“

6 „დავცურავთ ოკეანის გარშემო“
საკრუიზო გემს პორტებში არ უშვებენ

# სერგი კაპანაძე: „გვაქვს მოლოდინი, რომ დაჭერები გაგრძელდება"

## „არსებული სისტემით „ოცნებას" მაგრად მოვუგებთ"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი **სერგი კაპანაძე** პასუხობს.

***– ბატონო სერგი, გიგი უგულავას დაპატიმრება ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. რა ხდება, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა? ხელისუფლების გარდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეს არის პოლიტიკური დაკავება.***

– უდავოდ, ეს არის პოლიტიკურ დაკავება. ივანიშვილს ჰგონია, რომ იმ პირობებში, როცა ის ძალიან სუსტია, არც რეიტინგი აქვს და არც მხარდაჭერა, დაშინებითა და ძლიერი პოლიტიკური ოპონენტების დაკავებებით გავა ფონს.

ეს არის მისი ძალიან მწარე შეცდომა. ივანიშვილი ამას ნახავს, როგორც კი არჩევნები დამთავრდება. უბრალოდ, მანამდე, სამწუხაროდ, ამის ფასს გადაიხდის ქვეყანა. ვნახეთ უკვე რა შეფასებები მოჰყვა ამ ნაბიჯს ჩვენი პარტნიორების მხრიდან და ეს შეფასებები კიდევ გაგრძელდება და ჩვენი საერთაშორისო იმიჯი შეილახება ძალიან. ეს კი იქნება ძალიან მძიმე შედეგის მომტანი.

***– ივანიშვილმა პოლიტიკური რეპრესიები წინასაარჩევნოდ გახსნილად გამოაცხადა?***

– ეს აქამდეც ასე იყო, უბრალოდ, ახლა, ამ ახალ სეზონში, გადადგა თვისობრივად ახალი ნაბიჯი. მან თქვა, რომ გამარჯვების გზად ესახება სწორედ პოლიტიკური რეპრესიები.

***– არაფერ შუაშია საარჩევნო წელი. მან დანაშაული ჩაიდინა და ამისთვის მიესაჯაო, აცხადებს კახი კალაძე.***

– არც მინდა ამაზე კომენტარის გაკეთება. ადამიანი დაიჭირეს იმაზე, რაზეც უკვე მოხდილი აქვს ციხე. დამთავრებული ამბავია მანდ ყველაფერი! დაიჭირა იმ ადამიანმა, რომელიც მანამდე იყო პროკურორი, რომელმაც გაასაჩივრა ქვედა ინსტანციაში წაგებული საქმე. საერთოდ რაზეა ლაპარაკი?!

ეს ამბავი სტრასბურში აუცილებლად დამთავრდება გიგის სასარგებლოდ, მაგრამ, მანამდე დამთავრდება აქ, ადგილზე, ივანიშვილის საზიანოდ ეს ყველაფერი.

***– ყველანაირი ზეპირი მოსმენის, განხილვის, ადვოკატის, ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე გამოიტანეს გადაწყვეტილება. ეს რა ფორმებში ჯდება?***

– არაფერში არ ჯდება. ამას სახელი აქვს – დიქტატურის გაფორმება! სხვა სახელი არა აქვს. არანაირი კავშირი სამართალთან, პროცესთან და სასამართლოსთან ამას არა აქვს. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური შურისძიება ოპონენტზე, გამორჩეულ ლიდერზე, რომელიც მას ყველაზე მეტად აშინებდა თავისი ენერგიით, აქტიურობით, შემაკავშირებელი თვისებებით, ქარიზმითა და ასე შემდეგ.

***– ოპოზიციაში იმის მოლოდინია, რომ დაიწყება დაკავებების ახალი სერია. ვხედავთ, როგორი კვირეულია სასამართლო პროცესების. რა მოლოდინი გაქვთ?***

– რა მოლოდინი უნდა გვქონდეს ამ ხელისუფლების პირობებში?! რა თქმა უნდა, დაიწყება, არაფერი ამაში განსაკუთრებული, მოულოდნელი და საშიში ჩვენთვის არ არის. ამას იზამს ივანიშვილი მანამ, სანამ არის ხელისუფლებაში. ის აღარ იქნება ხელისუფლებაში, როგორც კი არჩევნები დამთავრდება! გამორიცხულია, რომ მან ხელისუფლება შეინარჩუნოს ამ პირობებში.

***– თუ ყველა ციხეში ჩაგსვათ არჩევნებამდე, არჩევნებს ვინღა მოიგებს?***

– ჩვენ დაგვიჭერს? ახალი ლიდერები გაჩნდებიან. ლიდერები არ იგებენ არჩევნებს, არჩევნებს იგებს ხალხი! აღმოცენდებიან ახალი ლიდერები, ზუსტად არჩევნებამდე, რომლებიც ხალხთან ერთად ივანიშვილს გაუშვებენ პოლიტიკურ მოუსავლეთში!

ლიდერების ციხეში ჩასმითა და იზოლაციით არჩევნებს ვერ მოიგებს ივანიშვილი. დღეს ოპოზიციაში, როგორც არასოდეს, არის ერთიანობა ივანიშვილის წინააღმდეგ და პროპორციული არჩევნების მოთხოვნის ირგვლივ.

***– გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ ოპოზიციამ გააკეთა განცხადება, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას წყვეტს. ხომ არაფერი შეიცვლება?***

– მორჩა, შეწყდა მოლაპარაკება, დამთავრდა. არანაირი მოლაპარაკება არ იქნება. ეს საკითხი არ გადაიხედება. არ შეიძლება, მოლაპარაკება აწარმოო ტერორისტთან. ის გიჭერს, არასამართლიანი მეთოდებით გებრძვის და მოლოდინი გქონდეთ, რომ მათთან დიალოგი იქნება, გამორიცხულია, არანაირი დიალოგი არ იქნება! იქნება ჩვეულებრივი არჩევნები იმ სისტემით, რომელიც დღეს არის, თუ თვითონ არ შეცვლიან მანამდე რამეს.

***– ანუ შერეულზე მიდიხართ?***

– ასეა. არ დაგვავიწყდეს, რა არის ამ სისტემის პრობლემა – ის, რომ გამარჯვებული პარტია იღებს დიდ ძალაუფლებას. აქედან გამომდინარე, გამარჯვებული იქნება ოპოზიცია და ის მიიღებს დიდ ძალაუფლებას. მერე მოეპყრობა „ქართულ ოცნებას" ისე, როგორც ის იმსახურებს! ეს შედეგი მათთვის იქნება ძალიან ცუდი! კი ბატონო, თუ ეს არჩევანი გააკეთეს, გააკეთონ!

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შერეული სისტემით შეძლებთ ივანიშვილის დამარცხებას? ამ სისტემის გამო ყველა გადააგდო, ყველა გადაიკიდა...***

– დიახ, შევძლებთ, იმიტომ, რომ ჩვენ შევთანხმდებით მაჟორიტარულ ოლქებზე და იქნება მხოლოდ ერთი კანდიდატი, იქნება კოორდინირებული მუშაობა და, შესაბამისად, შედეგი დადგება პროპორციულის იდენტური ან ძალიან მიახლოებული.

***– ძალიან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა გიგი უგულავას დაპატიმრებას დასავლეთიდან. ეს ვერ გათვალა ივანიშვილმა, თუ არ აინტერესებს?***

– არ აინტერესებს ივანიშვილს არც თავისი მონების რეპუტაცია, რომლებიც იქ გაშვებული ჰყავდა იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინათ ჩვენი პარტნიორები, რომ ისეთს არაფერს აპირებს და მათთვის გარანტიები მიეცა.

ეს, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანია მისთვის. როგორც ჩანს, არც დასავლეთის დამოკიდებულება ანაღვლებს. რატომ არ ანაღვლებს, ესეც კარგად გავიგეთ ყველამ. არ ანაღვლებს იმიტომ, რომ მან გააკეთა არჩევანი, ჩვენი ქვეყანა საით უნდა წაიყვანოს და ეს არ არის დასავლეთი.

კონგრესმენები პირდაპირ აკეთებენ შეფასებებს, რომ ეს არ არის დემოკრატია!

***– ანუ ღია განაცხადია, რომ ივანიშვილი დაადგა პუტინის გზას და ასე იშორებს მოწინააღმდეგეებს?***

– კი, ზუსტად ასეა. უბრალოდ, არ ვიცი, პუტინს ერთი და იგივე დანაშაულისთვის თუ ჰყავს ორჯერ გასამართლებული ვინმე. ასეთი არაფერი მახსენდება. უპრეცედენტო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამ ამბავში გადაუჯოკრა ნამდვილად ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს!



***– რას აპირებთ? მოლაპარაკებები შეწყდა. იმუშავებთ ერთიან სიაზე?***

– გიგის სიტყვების ციტირებას მოვახდენ: ბრძოლა გრძელდება, არაფერი დამთავრებულა! ჩვენ ახლა გავაგრძელებთ შიგნით კოორდინირებას მაჟორიტარებზე, გვექნება საარჩევნო კამპანია, რომელშიც დავამარცხებთ ივანიშვილს.

ამიტომ ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომლებსაც უნდათ ივანიშვილის დამარცხება, მოუწევთ შეთანხმება ერთიან კანდიდატებზე ხელისუფლების წინააღმდეგ! მანამდე, რა თქმა უნდა, გვექნება აქციები, გვექნება დემონსტრაციები. ყველა ის აქტივობა, რომლებიც დაგეგმილი გვქონდა, განხორციელდება, ამ მხრივ არაფერი შეგვიცვლია.

***– ბატონო სერგი, გაჩნდა ინფორმაცია, რომ მალე, შესაძლოა, ლელოს ლიდერებიც აღმოჩნდნენ საპატიმროში. თქვენ თუ გაქვთ ეს მოლოდინი, რომ მათაც დაიჭერენ?***

– ძნელია ივარაუდო, რას იზამს ივანიშვილი. მოლოდინი, რომ დაჭერები გაგრძელდება, ნამდვილად გვაქვს. ყველა პოლიტიკური ლიდერი, თუ ის ჩათვლის საჭიროდ, შეუძლია, ჩასვას ციხეში. ოღონდ ეს პატიმრობა გაგრძელდება ზუსტად იმდენი ხანი, რამდენი ხანიც ივანიშვილი იქნება ხელისუფლებაში ანუ ოქტომბრამდე.

როგორც კი არჩევნებს წააგებს ივანიშვილი, ეს პატიმრობებიც იმ დღესვე დასრულდება.

# ნინო ბურჯანაძე: „რევოლუციას არ გამოვრიცხავ"



„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ოპოზიციას გაერთიანებისკენ თავად ხელისუფლების ქმედებებმა უბიძგა.

ბურჯანაძის თქმით, თუ ხელისუფლება ოპოზიციაზე ზეწოლას გააგრძელებს და ლიდერების დაჭერას განაგრძობს, მოვლენები შესაძლოა რევოლუციური სცენარით განვითარდეს, რაც ქვეყნის ინტერესებში არ არის.

– ის, რომ ხელისუფლება ასე მოქმედებს, გვაიძულებს ოპოზიციურ პარტიებს, ჩვენი სურვილის მიუხედავად, უფრო აქტიურად ვითანამშრომლოთ და მეტი კოორდინირება გვქონდეს ერთმანეთთან. თუ ივანიშვილი და მისი ხელისუფლება შეძლებს, ცალ-ცალკე დაიჭიროს ოპოზიციური ლიდერები და ცალ-ცალკე გაკრიფოს ოპოზიციური პარტიები, ასეთ შემთხვევაში რევოლუციური სცენარი განვითარდება, რაც არავის აწყობს, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ლეიბორისტული პარტიის ოფისში ოპოზიციის საგანგებო შეხვედრები მას შემდეგ გაიმართა, რაც უზენაესმა სასამართლომ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ გიგი უგულავას პატიმრობა მიუსაჯა, რის გამოც ოპოზიციამ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მიმდინარე დიალოგის მორიგ რაუნდში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

# მესტიაში დაკარგული უკრაინელი ტურისტი გარდაცვლილი იპოვეს

„მთის კურორტების განვითარების კომპანიის" თეთნულდის სამაშველო სამსახურმა უკრაინელი ტურისტი თეთნულდის მიმდებარე ტერიტორიაზე, აკრძალულ ზონაში, თოვლის საფარის ქვეშ გარდაცვლილი იპოვა.

„მთის კურორტების განვითარების კომპანიის" ინფორმაციით, 10 თებერვალს თეთნულდის მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავი ჩამოწვა, რის შემდეგ თეთნულდის სამაშველო სამსახურმა 4 ჩეხი ტურისტი გადაარჩინა.

სამაშველო ოპერაცია მხოლოდ 2 წუთი გაგრძელდა.

„ზვავში სხვა პირის შესაძლო მოყოლაზე ინფორმაცია ტურისტების მიერ არ დასტურდებოდა, თუმცა მესტიის ერთ-ერთ სასტუმროში აღმოჩნდა მოთხილამურის სრული აღჭურვილობა, რომელიც უკრაინელ ტურისტს ეკუთვნოდა.

აქედან გამომდინარე, სამაშველო სამსახურმა უკრაინელი ტურისტის ძებნა დაიწყო", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ჩემი და გიგი უგულავას პოლიტიკური მრწამსი რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ მისი დაჭერა არ შეიძლებოდა"

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გიგი უგულავას დაპატიმრებას ფეისბუქში გამოეხმაურა.

„როდესაც რამდენიმე თვე რჩება უმნიშვნელოვანეს არჩევნებამდე და ხდება ერთ-ერთი ოპოზიციური ძალის ლიდერის დაპატიმრება, მით უმეტეს, როცა ამ ფაქტს წინ უძღვის საარჩევნო სისტემაზე საჯაროდ გაცემული პირობის დარღვევა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების უმწვავესი კრიტიკა, ეს ქმედება შეიძლება შეფასდეს მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკური მიზნით გამოყენებად, ხოლო შექმნილი ტენდენცია ხელისუფლების მხრიდან (გამიზნულად თუ გაუაზრებლად – აღარ აქვს მნიშვნელობა) მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ არჩეულ დემოკრატიულ კურსზე უარის თქმად, რასაც ლოგიკურად მოჰყვება 2020 წლის არჩევნების შედეგების წინასწარი დელეგიტიმაცია.

ამ აზრზეა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, განურჩევლად იმისა, ჯდება თუ არა გიგი უგულავა მის პოლიტიკურ გემოვნებაში – აქვე დავაზუსტებ, რომ პირადად ჩემი და „ევროპული საქართველოს" პოლიტიკური მრწამსი იყო და რჩება კარდინალურად განსხვავებული.

ასეთი ქმედებებით ხელისუფლება იღებს სრულ პასუხისმგებლობას შემდგომი პოლარიზაციის ზრდაზე.

მოვუწოდებ მას, იღონოს ყველაფერი, რათა მოხდეს პოლიტიკური პროცესის ნორმალიზაცია, საზოგადოების პოლარიზაციის თავიდან აცილება და უმნიშვნელოვანესი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება", – დაწერა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ზაქარია ქუცნაშვილი გარდაბნის თბოსადგურის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა



ზაქარია ქუცნაშვილი გარდაბნის თბოსადგურის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია „ბიზნეს-პრესნიუსს" ნავთობისა და გაზის კორპორაციაში დაუდასტურეს.

ქუცნაშვილი უკვე შეუდგა საქმიანობას.

შეგახსენებთ, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა საპარლამენტო მანდატის დატოვებაზე 2019 წლის ივნისში განაცხადა. მან ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მისი ორგანიზებით გამართული ასამბლეის ფარგლებში რუსმა დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის შენობაში პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ, გასული წლის დეკემბერში ქუცნაშვილმა განაცხადი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ვაკანტურ პოზიციაზე წარადგინა.

მაშინ, ქუცნაშვილის გარდა, კონკურსში მონაწილეობის სურვილი კიდევ ოთხმა პირმა გამოთქვა. თუმცა, მთავრობის გადაწყვეტილებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად მაშინ კონკურსის მონაწილე არც ერთი კანდიდატი არ განიხილეს და კონკურსიც ხელახლა გამოცხადდა.

# ანა ნაცვლიშვილი თბილისის პროკურატურაში გამოიკითხა



გუშინ, 11 თებერვალს, „ლელო საქართველოს" პოლიტსაბჭოს წევრი ანა ნაცვლიშვილი თბილისის პროკურატურაში გამოიკითხა.

როგორც ნაცვლიშვილმა გამოკითხვიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მან პროკურატურას მოსამართლე გიორგი არევაძის, ვანო ზარდიაშვილისა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შესაძლო შეხვედრის თაობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

– ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე არსებობს სახალხო დამცველის დასკვნა, რომელიც ამბობს, რომ დანაშაული, რომელსაც პროკურატურა ამ პირებს ედავება, არ მომხდარა. ამ დანაშაულის ნიშნები საქმეში წარმოდგენილი არ არის. იმის მაგივრად, რომ მოსამართლემ ამ პირობებში საქმე შეწყვიტოს, ის განსაკუთრებული ინტენსივობით ნიშნავს სასამართლო სხდომებს, რაც აჩენს სერიოზულ კითხვებს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ამ კონტექსტში ვრცელდება მედიით ინფორმაცია, რომ მოსამართლე გიორგი არევაძე ხვდება პრემიერ-მინისტრს და შეხვედრას ასევე ესწრება ვანო ზარდიაშვილი, რომლებიც თანხმდებიან, როგორ უნდა მოიქცეს იგივე არევაძე მეორე გახმაურებულ საქმესთან მიმართებით, რომელიც მას დაწერილი ჰქონდა და რომელიც საბოლოოდ აიცილა. ეს არის ნიკა გვარამიას საქმე.

ბევრი ფაქტორია ამ საქმეში, რომელიც მიუთითებს, რომ საქმე პოლიტიკური ინტერესით მოტივირებულია. აუცილებელია, საქმეზე ჩატარდეს ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება.

სამწუხაროდ, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არ მაქვს მოლოდინი, რომ გამოძიება ჩატარდება არა იმიტომ, რომ გამოძიებას არ აქვს სურვილი ან კომპეტენცია ამ საქმეს გაუძლვეს, არამედ იმიტომ, რომ ასეთია დღეს პროკურატურის მოცემულობა. ის გამოიყენება იმ საქმეებში პოლიტიკური დევნის ინსტრუმენტად, სადაც ხელისუფლებას დაინტერესება აქვს, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

მისივე თქმით, ისინი ვერ მისცემენ კომფორტს ვერც სასამართლო ხელისუფლებასა და ვერც პროკურატურას, რომ ასეთ მძიმე რეალობაში მათ არაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ კანონი აღსრულდეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო გოგუაძე: „ივანიშვილი საქართველოს რუსეთის სივრცეში აბრუნებს“

## „ივანიშვილი აპრილის დასაწყისამდე ვის დაჭერასაც მოასწრებს, ყველას დაიჭერს. ის რეპრესიებს ბოლომდე მიიყვანს“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას დაკავებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამას პირადად ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ რეპრესიების დაწყებაზე ალაპარაკდნენ და უკვე მოჰყვა მწვავე შეფასებები დასავლეთის მხრიდანაც. ამერიკელმა კონგრესმენებმა განაცხადეს, რომ ეს არ არის დემოკრატია, ხოლო ამერიკის საელჩოს განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს პოლიტიკურ მოლაპარაკებებს რისკის ქვეშ აყენებს.

აქვს თუ არა მოლოდინი, რომ ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც დაიჭერს და იცვლება თუ არა ოპოზიციის გეგმები? – ამ და სხვა საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი **ნინო გოგუაძე** საუბრობს:

***– ვხედავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო დაჭერების ახალი ეტაპი, თანაც იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები მართავდნენ შეხვედრებს და ადამ კიზინგერისგან დამთბობი განცხადებაც მოვისმინეთ. რა პროცესია ეს ქართულ პოლიტიკაში?***

– ძალიან ცუდი პროცესი მიდის საქართველოში. დიდი ხანია ვიცით, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს კანონის უზენაესობა. ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ ის არის სახელმწიფოც და კანონიც და კანონის უზენაესობა კი არ არსებობს ამ ქვეყანაში, არამედ ბიძინა ივანიშვილის სურვილების უზენაესობა, რომლის აღსრულებასაც ემსახურება ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, სასამართლოთი დაწყებული სუს-ით გაგრძელებული და პარლამენტის ჩართულობით. ეს არის მოცემულობა.

აქ პოლიტიკურ პარტიაზე კი არ არის საუბარი, არამედ აქ საუბარია ერთი ადამიანის სურვილების ასრულებაზე. ეს არის კლასიკური ავტორიტარული მმართველობა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს დეკლარირებულ დემოკრატიულ განვითარებასთან და ევროატლანტიკურ კურსთან.

ვნახეთ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს უმწვავესი საერთაშორისო შეფასებების ფონზე. აშშ არის ჩვენი მთავარი პარტნიორი ქვეყანა და მისი მხარდაჭერის და დახმარების გამო მოვაღწიეთ, როგორც ასე თუ ისე თავისუფალ ქვეყნად და მისი მხარდაჭერის გამო ვაღწევდით თავს ოკუპანტ რუსეთს. თუმცა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ხელისუფლების წარმომადგენლების მოწოდების მიუხედავად, რომ არ შეიძლება სასამართლო იყოს პოლიტიკური იარაღი და უნდა შეწყდეს ოპონენტების პოლიტიკური დევნა და უნდა ხდებოდეს საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება, რადგან ივანიშვილმა საქვეყნოდ დადებული პირობა დაარღვია საარჩევნო ცვლილებასთან დაკავშირებით და ამ მოწოდების პარალელურად მიიღეს უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილება და გიგი უგულავა დააპატიმრეს იმ საქმეზე, რომლის გამოც ის იჯდა ციხეში. სხვა ინსტანციების სასამართლოებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს და ამ საქმეზე არ დადასტურდა ფულის გაფლანგვა და საქმე იყო აღძრული უფლებამოსილების გადამეტებაზე, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ამ მუხლის გადაკვალიფიცირება მოახდინა ფულის გაფლანგვით და პატიმრობა მიუსაჯა უზენაესმა სასამართლომ ფულის გაფლანგვის ფაქტზე.

***– ანუ ივანიშვილი გვეუბნება, რომ არ მაინტერესებს, რას ამბობს დასავლეთი, რას ამბობს ქართველი ხალხი და რა რეიტინგი მექნება, მთავარია, მე რას ვფიქრობო?***

– ბიძინა ივანიშვილი გვეუბნება, რომ მისთვის მთავარია ხელისუფლების შენარჩუნება და სულ არ აინტერესებს საზოგადოება ქვეყნის შიგნით, რადგან მას ჰგონია, რომ მისი მომხრეების უმეტესობა, რომლებიც შურისძიებით არიან შეპყრობილები, მათ გულებს მოიგებს ამით და მოახდენს მათ კონსოლიდაციას და გამხნევებას, ხოლო რაც შეეხება დასავლელ პარტნიორებს, მას ჰგონია, რომ იქაც „დაალაგებს“ ურთიერთობებს, როგორც ამას აქ „ალაგებს“ ხოლმე. მაგრამ მან არ იცის, რომ ფულით ყველაფერს ვერ იყიდის და ფულით ყველაფერს ვერ იშოვის. მათ შორის ვერ მოიპოვებს ამ უსამართლო საქმეების შემდეგ ამერიკის მხარდაჭერას.

ივანიშვილს გამიზნულად მიჰყავს ეს ქვეყანა იზოლაციისკენ და პუტინის ტიპის რეჟიმის დამყარებისკენ. უფრო სწორად, ეს რეჟიმი უკვე დაამყარა და ახლა ქვეყანას აბრუნებს რუსეთის სივრცეში. სანამ პირადად მას არ შეეხება დასავლეთის სანქციები და დასავლეთის რეაქცია და სანამ ეს არ შეეხება მის პირად კეთილდღეობას, იქამდე მას არაფრად უღირს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და გეოპოლიტიკური ვითარება, რაც ავტორიტარულ მმართველობას მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

***– ოპოზიცია ხომ არ აპირებთ გააქტიურებას ამ თვალსაზრისითაც, რომ მისი ანგარიშები დააყადაღონ?***

– ამას არ სჭირდება ჩვენი გააქტიურება, მათ ძალიან კარგად იციან ყველაფერი ის, რაც ხდება. თქვენ ნახეთ, რომ გიგი უგულავას დაკავების ღამესვე გააკეთეს განცხადებები ორმა სენატორმა რიშმა და კიზინგერმა. ორივეს განცხადება იყო მყისიერი რეაქცია და, ბუნებრივია, რომ მათ მაგივრად ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ის პროცესი, რაც ამ ქვეყანაში მიდის, არაფერს კარგს არ უქადის არც ჩვენს ქვეყანას და არც პირადად ბიძინა ივანიშვილს. სიმართლე გითხრათ, ბიძინა ივანიშვილის ბედი ნაკლებად მაწუხებს. დარწმუნებული ვარ, რომ ის აუცილებლად ჩამოშორდება ხელისუფლებას.

ჩვენ ძალიან დიდი მსხვერპლი გავიღეთ იმისთვის, რომ საქართველო ყოფილიყო თავისუფალი სამყაროს ნაწილი, ივანიშვილი კი გვაბრუნებს ტოტალიტარულ სივრცეში პუტინის რუსეთის სივრცეში და ამას თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი არაფრით არ შეეგუება და მე ამაში დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება ამერიკელებს, მათ ძალიან კარგად იციან, რა უნდა გააკეთონ. მათ არსენალში ძალიან ბევრი ქმედითი მექანიზმი აქვთ და კარგად იციან, როდის რომელი მექანიზმი უნდა გამოიყენონ.

***– ამბობთ, რომ ივანიშვილი ავტორიტარულ მმართველობას დაადგა, განვიხილოთ ამ თვალსაზრისით, მაგრამ შევხედოთ რაციონალური თვალით. გამოვიდა, რომ ივანიშვილმა უგულავა შექმნა, როგორც გმირი. ჰქონდა რაიმე საერთო რაციონალიზმთან?***



– ჯერ ერთი, რაციონალურ გადაწყვეტილებებზე ნუ ვილაპარაკებთ. იმიტომ, რომ არანაირ პოლიტიკურ რაციონალიზმს, არგუმენტებსა და ლოგიკას არ ექვემდებარება მისი გადაწყვეტილებები. მას აქვს ძალაუფლება და ცდილობს მის გამოყენებას. სწორედ ამას ემსახურება ადამიანების ციხეში გაშვება, ადამიანების რეპუტაციის განადგურება და მოსპობა, რაც მას სიხარულს ანიჭებს. ამით ტკბება ის და ვხედავთ, რომ ის ახლა ამ ფაზაშია შესული. ის რეალურად გვეუბნება, რომ რამდენსაც მინდა დაგიჭერთო. ეს არის ძალაუფლების გარყვნა. სხვა ტერმინს ვერ ვუწოდებ მას.

***– გაქვთ მოლოდინი, რომ სხვა ოპოზიციურ ლიდერებსაც დაიჭერს?***

– მე მგონია, რომ ვის დაჭერასაც მოასწრებს თებერვალ-მარტში და აპრილის დასაწყისში, ყველას დაიჭერს. ამას ნიშნავს უგულავას დაჭერა იმ ვითარებაში, როდესაც არჩილ თალაკვაძემ გარანტიები მისცა ვაშინგტონში და ჯერ თბილისშიც კი არ არის დაბრუნებული და მაშინ, როდესაც იყო ამერიკის ელჩთან მიღება და ამ დროს ხდება დემონსტრაციულად უგულავას დაჭერა, ეს, რა თქმა უნდა, იყო სილის გაწვნის მცდელობა საერთაშორისო პარტნიორებისთვის. სასაცილოა უბრალოდ ეს. იმიტომ, რომ აშშ-ს ივანიშვილი სილას ვერაფრით ვერ გააწნავს, რაც არ უნდა დიდი წარმოდგენა ჰქონდეს თავის თავზე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ბოლომდე მიიყვანს პოლიტიკურ რეპრესიებს. მას ამორჩეული ჰყავს ადამიანები, რომელთა დაჭერაც უნდა. ის ჯერ კიდევ დააკვირდება რეაქციებს, თუმცა მე არა მგონია, რომ რაიმე რეაქციამ მას ამ სურვილზე ხელი ააღებინოს.

***– თქვენს გეგმებში თუ იცვლება რამე?***

– არაფერი არ იცვლება. უბრალოდ იცვლება ის, რომ ჩვენ აღარ ვაპირებთ ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას და მასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდის გარშემო ჯდომას. რაც მათ გააკეთეს, ეს არაფერში არ ჯდება. ელემენტარული წესია, რომ როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ასეთ რამეს არ აკეთებ და არ იჭერ ოპოზიციის ლიდერს. მტრებიც კი ზავდებიან ხოლმე მოლაპარაკებების დროს. ივანიშვილმა თვითონ დახურა მოლაპარაკებების სივრცე, მაგრამ ჩვენ, ძალიან მრავალფეროვან და განსხვავებულ ოპოზიციას, რომელსაც ერთმანეთთან ძალიან ბევრი განსხვავებები გვაქვს, მოგვიწევს ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაცია და შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმა. მათ შორის შეთანხმებები მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით, რადგან ერთმანეთს არ გავუყოთ ხმები. ჩვენ აუცილებლად უნდა დავიწყოთ ამ ხელისუფლების დემონტაჟი სწორედ არჩევნების გზით და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ აი ეს ავტორიტარული ხელისუფლება, რომელსაც საქართველო მიჰყავს საერთაშორისო იზოლაციის გზით პუტინის რუსეთისკენ, ის უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება საპროტესტო აქციებიც. მათ შორის დიდი აქციებიც, მაგრამ მთავარი ხაზი იქნება მზადება არჩევნებისთვის, რადგან ამ ქვეყანას სჭირდება, რომ ხელისუფლება შეიცვალოს არჩევნების გზით. ეს არის ჩვენი მოკლე გეგმა, უფრო დეტალურ გეგმას კი გზადაგზა შეგატყობინებთ.

# სუსის უფროსი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დანიშნულ ელჩ კელი დეგნანს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში მტკიცე პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობას და ისაუბრეს ამ მიმართულებით არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების შესაძლებლობებზე.

გრიგოლ ლილუაშვილმა და კელი დეგნანმა უსაფრთხოების კუთხით საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და რეგიონული საფრთხეები მიმოიხილეს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და აშშ-ის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე.

გრიგოლ ლილუაშვილმა კელი დეგნანს ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს უსაფრთხოების სფეროში დღემდე არსებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

# „ოცნებამ“ ოპოზიციასთან დიალოგის ჩასაშლელად ყველაფერი გააკეთა“

## შალვა შავგულიძე: „ივანიშვილი ანგარიშს მხოლოდ პუტინის რუსეთს უწევს“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო შალვა, მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ ოპოზიციას დიდი ხანია მოლაპარაკებების მაგიდის აყირავება სურდა. გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ამოცანა არ ყოფილა მოლაპარაკებები. როგორ პასუხობთ მათ, რა არის დღეს ოპოზიციის ამოცანა?***

– „ქართული ოცნებისთვის“ დამახასიათებელია აბსოლუტური ტყუილი. მათ ჰგონიათ, თუ ძალიან დიდ ტყუილს იტყვიან, უფრო დამაჯერებლები გამოჩნდებიან, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ეს უღირსი საქციელია.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ მოლაპარაკებები არ გაგრძელებულიყო, რადგან მათ არ აწყობთ შეთანხმების მიღწევა. როგორ შეიძლება მოლაპარაკებები გქონდეს ოპოზიციასთან და პარალელურად ამ ოპოზიციას იჭერდე?! ან ის როგორ შეიძლება, ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი ღამე დააკავო და მეორე დილით სხვა ლიდერებმა გააგრძელონ მოლაპარაკება?!

ომის დროსაც კი, როდესაც მოწინააღმდეგეები მოლაპარაკებებს მართავენ, ცეცხლი ჩერდება. თუ რომელიმე მხარე ამ შეთანხმებას დაარღვევს, მოლაპარაკებებიც იშლება. ვინ დააკავა ოპოზიციის ლიდერი, ოპოზიციამ თუ ხელისუფლებამ?! რა თქმა უნდა, ეს მოლაპარაკებები ხელისუფლებამ ჩაშალა. ამის შემდეგ ოპოზიციას არავითარი მორალური უფლება აღარ გვაქვს, რომ მაგიდასთან საუბარი გავაგრძელოთ. არც არავითარი პრაგმატული შედეგი არ არის მოსალოდნელი ამ მოლაპარაკებებიდან, როდესაც ხელისუფლება ასე იქცევა.



***– „ქართულ ოცნებას“ ხომ აწყობდა შეთანხმების მიღწევა?***

– არ აწყობდა! მისი მიზანი არსებული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებაა, ფიქრობენ ამ სისტემით შეძლებენ ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ იმდენად გაკოტრებულები არიან, რომ ეს შეუძლებელია. მით უფრო მწარედ დამარცხდებიან, თუ მოქმედი საარჩევნო სისტემით ჩატარდება არჩევნები.

***– რატომ?***

– ამ ყველაფრის შემდეგ ოპოზიცია მივაღწევთ მაჟორიტარებზე სრულ შეთანხმებას, ახლა სწორედ ამაზე მიდის მუშაობა და ივანიშვილს მოუწევს ასეთ შეთანხმებულ კანდიდატთან შებრძოლება. რაც შეეხება პროპორციულ ნაწილს, ყველა გამოკითხვით, ოპოზიცია ჯამურად უსწრებს „ქართული ოცნებას“. ესეც ხომ ფაქტია. ამიტომ, „ქართული ოცნება“ ბევრად უფრო მწარედ დამარცხდება სწორედ მოქმედი საარჩევნო სისტემით.

***– ელოდებით ოპოზიციის ლიდერების დაკავების გაგრძელებას?***

– რასაკვირველია, ველოდები! მოსალოდნელია ოპოზიციის ლიდერების და მედიის მფლობელების, მმართველების დაჭერების გაგრძელება. ივანიშვილს და მის გაკოტრებულ რეჟიმს ოპოზიციასთან, ქართველ საზოგადოებასთან, ხალხთან ურთიერთობის სხვა რესურსი არ დარჩა, გარდა რეპრესიებისა.

საყურადღებოა ერთი გარემოება: როდის დაიწყო ასეთი აშკარა და დაუფარავი რეპრესიები ოპოზიციის ლიდერების მიმართ. დაიწყო სწორედ მას შემდეგ, რაც დასავლეთიდან, ევროკავშირიდან, ამერიკიდან მიიღო ძალიან მწვავე შეფასებები, შენიშვნები. თითქოს, დემონსტრაციულად დასავლეთის ამ შენიშვნებზე საპასუხოდ ივანიშვილმა დაიჭირა გიგი უგულავა და ეს რეპრესიები გიგი უგულავაზე არ გაჩერდება.

***– პირიქით არ უნდა ყოფილიყო?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული მოცემულობაა. ივანიშვილი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს დასავლეთის წინაშე. ის გამომწვევად პასუხობს დასავლეთს სწორედ იმ შენიშვნებზე, რაზეც მას აფრთხილებენ, რაზეც ეუბნებიან, რომ ეს არ უნდა გააკეთო.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ივანიშვილისთვის ანგარიშგასაწევი ძალა სულაც არ არის დასავლეთი და ასეთი ძალა მხოლოდ პუტინის რუსეთია. ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, არ უნდა წავუყრუოთ. როგორც ჩანს, ივანიშვილი ემოციურადაც რუსეთის ინტერესების გამომხატველი და გამტარებელია. ამის თქმის უფლებას კონკრეტული ფაქტები მაძლევს.

***– რომელ ფაქტს დაასახელებდით?***

– როგორ მოიქცა ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით! პროექტი, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკურად, სტრატეგიულად, რაზეც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა პომპეომ პირდაპირ გვითხრა, ანაკლია უნდა აშენდეს და როგორ ყველაფერი გააკეთა ივანიშვილმა მის ჩასაშლელად.

20 ივნისის ღამის მოვლენებიც სწორედ ამ კონტექსტში ჯდება: როდესაც შეურაცხყოფილმა ქართველმა ახალგაზრდებმა გავრილოვი ქვეყნიდან გააძევეს, როგორ დაუშინა მათ ტყვიები, როგორ დაასახიჩრა ისინი, როგორ დასაჯა ქართველი საზოგადოება, რომელმაც ქვეყნის ღირსების შელახვა ვერ აიტანა. დასაჯა სწორედ რუსეთის საამებლად და ამ ყველაფრის შემდეგ ამ უკანონობის ჩამდენი შინაგან საქმეთა მინისტრი გახარია დემონსტრაციულად დააწინაურა. ასეთი პასუხი გასცა მან ქართველ ხალხს.

ეს მაგალითები ნათელს ფენს ხელისუფლების კოლაბორაციონიზმს. მას არაფერში ადარდებს ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების წუხილები. მინიშნებები იმაზე, რომ რაღაც ისე არ არის, რომ ამ რეპრესიებით დემოკრატიას შეიძლება საფრთხე დაემუქროს, მაგრამ აღელვებს რუსეთის განწყობები. აღელვებს პუტინი და ამიტომ შეიძლება საკუთარი მოქალაქეებიც კი სამაგალითოდ დასაჯოს.

როგორც ჩანს, იმ ფულს, რომელიც იქიდან წამოიღო, გარკვეული ვალდებულებები წამოჰყვა. ამიტომ, ეს ყველაფერი მოსალოდნელიც იყო. ის, მზად არის, ასე ღიად დაუპირისპირდეს დასავლეთს, ოღონდ შეასრულოს ეს ვალდებულებები.

ეს მისი არჩევანია. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ მან ცუდი არჩევანი გააკეთა.

# მამუკა ტუსკაძე: „გიგი უგულავა ახლა არ უნდა დაეპატიმრებინათ. მისთვის პირობითი სასჯელი უნდა მიესაჯათ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, მთელი ოპოზიციური სპექტრი აღშფოთებულია უგულავას დაპატიმრების გამო. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხის მიმართ?***

– ამ კითხვის პასუხი ორ ნაწილად გავყოთ. პირველი – დადგენილი ფაქტია, რომ გიგი უგულავამ ნამდვილად მიითვისა დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი ფული. მან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა ნამდვილად გამოიყენა თავისი პირადი და პარტიის საჭიროებისათვის. ეს უტყუარად დადგენილი ფაქტია.

მეც, რომელიც მართლმსაჯულებასა და კანონს ვემსახურები, არა მხოლოდ უფლებადამცველი, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვფიქრობ, რომ მას მიესაჯა და მოიხადა.

***– ბოლომდე მოიხადა?***

– პატიმრობის ის ვადა, რომელიც მიუსაჯა პირველი ინსტანციის სასამართლომ – 1 წელი და 9 თვე – ბოლომდე მოიხადა და გამოვიდა. ამ პერიოდში მოხდა სამართლებრივი ნონსენსი. არავინ ამბობს, რეალურად რა მოხდა, არ განმარტავენ, რომ პროკურატურას პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული.

სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, შესაბამისად, ძალაში დარჩა უგულავას მოხდილი 1 წელი და 9 თვე. ამის შემდეგ ბრალმდებელმა მხარემ, პროკურატურამ, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელიც, პრინციპში, უკვე დასრულდა და აღსრულდა კიდევაც.

თუმცა, უზენაესში პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ მოსამართლეები არ იყვნენ და სასამართლო პროცესები დროულად ვერ გაიმართა, ეს პროცესი გონივრულ ვადაზე დიდხანს გაიწელა. 10 თებერვალს შედგა სასამართლო პროცესი და უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება.

სამართლებრივად აქ ყველაფერი სწორად არის დალაგებული. სამდონიანი სასამართლო სისტემა გვაქვს. უგულავამაც კარგად იცოდა, რომ უზენაეს სასამართლოში საქმე დასრულებული არ იყო და ის წელიწადი და 9 თვე სასჯელის ზომად შეიძლებოდა არ დარჩენილიყო. ახლა უზენაესში მოხდილი წლები მოაკლეს.

ვინ ვინ და გიგი უგულავამ და მისმა თანაპარტიელებმა კარგად იციან, როგორ ასამართლებდნენ ადამიანებს მათ დროს. ამიტომ, იმის თქმა, რომ გიგი უგულავა უსამართლოდაა დაპატიმრებული, სწორი არ არის. გიგი უგულავა სწორად და სამართლებრივი ნორმების დაცვით არის გასამართლებული, მაგრამ ამ საქმის მეორე მხარეზე მინდა ვისაუბრო – გიგი უგულავა არის პოლიტიკური ლიდერი.

***– ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ არ შეიძლება, პირი ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლდეს. ამ შემთხვევაში, რადგან პატიმრობათა შორის წყვეტა იყო, ამით აპელირებენ?***

– მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებას უქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ერთი და იმავე დანაშაულისთვის უგულავა ორჯერ გაასამართლეს. ასე არ არის. უბრალოდ, კანონიერ ძალაში არშესული იყო. ამ საქმეს ყველა ინსტანცია მოვლილი არ ჰქონდა.

უზენაეს სასამართლოში სხდომა სწრაფად რომ ჩატარებულიყო და მიესაჯა, გიგი უგულავა სასჯელის მოხდას ჩვეულებრივად გააგრძელებდა. არავინ ამბობს, რომ პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ იყო.

***– სამაგიეროდ, ამბობენ, რომ უზენაესმა სასამართლომ კვალიფიკაცია შეცვალა.***



– უზენაესმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გაასწორა, რისი უფლებაც ჰქონდა და ახალი გადაწყვეტილება მიიღო იმავე დავის ფარგლებში. ეს ყველაფერი სამართლებრივად სწორია. თუ სწორი არ არის, საქმე სტრასბურში წავა და ნახავთ, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი ამ შემთხვევაში არ დარღვეულა.

***– რას ცვლის ის, რომ გიგი უგულავა პოლიტიკურად აქტიური პირია.***

– გიგი უგულავა არის პოლიტიკური ლიდერი. მე რომ ვყოფილიყავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, მე ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი, გიგი უგულავას წელიწადსა და 9 თვეს ვაკმარებდი და გიგი უგულავა მაინც იქნებოდა გამტყუნებული. შესაბამისად, ის იქნებოდა ნასამართლევი პირი. უზენაეს სასამართლოს პირობითი სასჯელის მისჯაც შეეძლო. 3 წელსა და 8 თვეს პირობით სასჯელად მივცემდი. ესეც სამართლიანი გადაწყვეტილება იქნებოდა. რამდენჯერაც უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიკურ პროცესებს ვემიჯნებით, ამას მაინც ვერ ავცდებით.

***– ამიტომაც იყო უგულავა ასე აქტიური.***

– აქტიურობის გამო ადამიანის დაპატიმრება არ შეიძლება.

***– რა თქმა უნდა, პოლიტიკური აქტიურობის გამო არ უნდა დასაჯო.***

– შეიძლებოდა, ჯარიმა დაეკისრებინათ ან შინაპატიმრობა მიესაჯათ და გმირად არ ექციათ.

***– გიგი უგულავას კარგად ეცოდინებოდა, რომ ეს პროცესი აქამდე მივიდოდა, მაგრამ ახლა თადუმაძის ინტერესებზეც საუბრობენ.***

– თადუმაძე უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარეა, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებდა. თადუმაძე ამ საქმის ძიებისას მთავარი პროკურორი იყო, მაგრამ მას შემდეგ ამ საქმემ ბევრი იარა, დიდი დრო გავიდა. გიგი უგულავამაც მოიხადა და თადუმაძეც მოსამართლეა.

***– ამბობენ რომ თადუმაძემ განხილვაში მონაწილეობა მიიღო.***

– არა მგონია. თუ განაჩენზე თადუმაძეს ხელი აქვს მოწერილი, დარღვევა იქნება.

***– უგულავას დაპატიმრება პოლიტიკურ პროცესებს ჩიხში ხომ არ შეიყვანს?***

– ალბათ, შეიყვანს. ვფიქრობ, ხელისუფლების სტრატეგია იკვეთება. საქმე ვითარების დესტაბილიზაციისკენ მიდის. გიგი უგულავა ახლა არ უნდა დაეპატიმრებინათ და მისთვის პირობითი სასჯელი უნდა მიესაჯათ. როგორც ჩანს, დამნაშავე და კრიმინალი გიგი უგულავას გმირად ქცევა ხელისუფლების ინტერესებში შედის. გიგი უგულავა პოლიტპატიმარი კი არ არის, დამნაშავეა, მაგრამ არ უნდა დაეპატიმრებინათ.

***– პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უზენაესის მოსამართლეებისთვის უნდა ეკარნახა, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უგულავას დაპატიმრება არ გვაწყობს და საპატიმრო სასჯელი არ გამოუტანოთო?***

– არა, არავის არაფერი არ უნდა ეთქვა. სასამართლო რობოტებისაგან კი არა, ადამიანებისაგან შედგება. არსებული მდგომარეობა, არსებული მტკიცებულებები რომ შეისწავლა, უზენაეს სასამართლოს იმის გათვალისწინებითაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება, უგულავა 1 წელი და 9 თვე პატიმრობაში რომ იყო დარჩენილი, 4 წელი პირობითი უნდა მიეცა.

ახლა მე რომ ვყოფილიყავი უზენაესის მოსამართლე, პირობით სასჯელს გამოვიყენებდი, მაგრამ, პირველი ინსტანციის მოსამართლე რომ ვყოფილიყავი, 19 წელს მივუსჯიდი. დანაშაული მას ჩადენილი აქვს და დამტკიცდა კიდეც. უბრალოდ, აქ პინგ-პონგის თამაშში ხელისუფლებამ უგულავა გმირად აქცია, როგორც ხონი-ვანის არჩევნების დროს.

***– ნაციონალების დროს ასეთ შემთხვევაში რამდენ წელს მიუსჯიდნენ?***

– მაქსიმუმ 30 წლით შემოიფარგლებოდნენ. ამიტომ, არ შეიძლება, ნაცმოძრაობამ სასამართლოს სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებელი სასამართლოები სწორედ ნაცრეჟიმის პერიოდში იყო.

ერთი მხრივ, ეს არის სწორი გადაწყვეტილება, მეორე მხრივ კი, იმდენად არასწორად არის მიყვანილი საქმე ბოლომდე, უგულავა გმირად აქციეს. გუშინ ნიკა გვარამია უგულავას შვილს ეუბნებოდა, აცნობიერებ, მამა გმირი გყავსო.

***– ეს სიტუაცია „ოცნებისთვის“ არის ცუდი.***

– საგარეო ასპარეზზე, ამერიკასთან თითქმის დალაგებული სიტუაცია პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის შედეგად (ნაცები რასაც მაიმუნობდნენ, რა ამბებიც ჩაჰქონდათ იქ და რა წერილებსაც აგზავნიდნენ), გაბათილდა. თუმცა თალაკვაძე ჯერ თბილისში არ არის ჩამოსული და საპირწონედ ეს სიტუაცია დაახვედრეს.

# „გიგი უგულავას დაჭერა განახლებული რუსული სქემების ნაწილია“

## მირიან მირიანაშვილი: „მაყურებელმა უნდა დაიჯეროს, რომ ივანიშვილი და ბოკერიას პარტია ერთმანეთს ებრძვიან“

მარიამ მჭედლიშვილი

რას უკავშირდება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგი უგულავას კიდევ ერთი დაკავება? რას მოიცავს რუსეთის პოლიტტექნოლოგების ახალი სქემები“, რა კავშირი აქვს ამ გეგმებს სააკაშვილთან? რატომ არ გამოუვა სააკაშვილს ალტერნატიული პროცესების აგორება? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერს, **მირიან მირიანაშვილს**.

***– რას ნიშნავს გიგი უგულავას კიდევ ერთხელ მიბრუნება ციხეში? რა იმალება ხელისუფლების გამომწვევ მოქმედებებში?***



– „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ადრე ვთქვი, რომ 15 დეკემბრიდან რუსეთის გადაწყვეტილებით საქართველოს პოლიტიკურ თეატრში შესვენება გამოცხადდა. თებერვლიდან თეატრი უნდა განახლებულიყო. ეს მოხდა კიდეც, ოღონდ ათდღიანი დაგვიანებით და განახლებული სცენარით. ჩაუხედავ მკითხველს ვეტყვი, რომ რუსეთი დაახლოებით ორი წელიწადია ცდილობს თავისი გეგმის მიხედვით განახორციელოს ხელისუფლების გადაბარება. ჩაფიქრებული იყო რიგგარეშე არჩევნების ხელოვნურად გამოწვევა. ეს არ გამოვიდა. თეატრი განახლებული პიესებით გაცოცხლდა.

**„საქართველოში მწვავე პროცესები დირიჟორებმა აშშ-ის ახალი ელჩის საქმიანობის დაწყებას დაამთხვიეს“**

***– გიგი უგულავა ამ სცენარისთვის გაიწირა?***

– რასაკვირველია. ივანიშვილმა ეს პოლიტტექნოლოგიური სქემების შესაბამისად გააკეთა. გიგი უგულავას დაჭერა განახლებული რუსული სქემების ნაწილია. მაყურებელმა უნდა დაიჯეროს, რომ ივანიშვილი და ბოკერიას პარტია ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან, რომ „ევროპული საქართველო“ მთავარი ოპოზიციაა, რომელსაც რუსეთთან საერთო არაფერი აქვს. შემთხვევითი არაა, რომ დირიჟორებმა მწვავე პროცესები აშშ-ის ახალი ელჩის საქმიანობის დაწყებას დაამთხვიეს.

***– 10 თებერვალს ელჩის მიღება ჰქონდა. მას პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ. გიგი უგულავას დაჭერის გამო ბევრმა მათგანმა მიღება ადრე დატოვა.***

– მიღების ჩაშლა ადრევე იყო ჩაფიქრებული. იმ საღამოს პროტესტი არ იგეგმებოდა. ისეთი რა გაუჭირდათ პოლიტიკოსებს, რომ მიღებაზე ერთი საათი ვერ გაჩერდნენ! ეს უპატივცემულობაა.

***– სააკაშვილის მხრიდან თბილისში საკუთარი შტაბის შექმნის და მართვის სურვილი რისი გამოვლინებაა?***

– სააკაშვილი აშანტაჟებს თავის კურატორებს რუსეთიდან, ასევე – თავის ხელქვეითებს საქართველოში.

***– რუსებს რატომ აშანტაჟებს? თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს?***

– სააკაშვილი, გარკვეულწილად, რუს პოლიტტექნოლოგებში უკვე ბალასტად აღიქმებოდა. თუმცა, მისი საჭიროება დადგა მას შემდეგ, რაც ჩაფლავდა სცენარები ბოკერიას დაჯგუფების მონაწილეობით. ბოკერია უკვე გაჭრილი კარტი გახდა. თებერვლის სცენარში მთავარი როლი ისევ უკანა პლანზე გადასულ სააკაშვილს უნდა რგებოდა. მოხდა ისეთი რამ, რამაც სააკაშვილს მთავარი როლი დააკარგვინა.

***– კიევში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რომ სააკაშვილი არ მიიღო, ამაზე ხომ არ საუბრობთ?***

– ამ ფაქტმა უფრო ნათლად გამოააშკარავა, რომ სააკაშვილი ვაშინგტონისთვის კატეგორიულად მიუღებელია. რუსი სცენარისტები ისევ ბოკერიას მიუბრუნდნენ.

***– თქვენ ამბობდით, რომ ვაშინგტონისათვის „ევროპული საქართველოც“ გაშიფრულია.***

– რასაკვირველია. აშშ-ში ისიც იციან, რომ თვეზე ოდნავ მეტი ხნის წინ ივანიშვილი, ბოკერია და ხაზარაძე მოსკოვში ერთად რეკავდნენ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ათანხმებდნენ.

***– კონგრესმენ ადამ კინზინგერის შეფასებით, სასამართლოს იარაღად გამოყენება დემოკრატია არ არის. ასე გამოეხმაურა იგი გიგი უგულავას დაკავებას.***

– საქართველოში ბოლო 30 წელიწადის განმავლობაში არაერთი პოლიტიკოსი დაუკავებიათ. ყველა დაჭერა პოლიტიკური იყო და მას საერთო არ ჰქონდა გადაცდომებთან და დანაშაულებთან.

გიგი უგულავა მორიგი პოლიტიკური მოღვაწეა. გეგმის თანახმად, ოპოზიციამ, პირველ რიგში, ბოკერიას პარტიამ, რომელსაც შლეიფად მიჰყვება ხაზარაძის „ლელო“, უნდა გააქარწყლონ ჭორები რუსეთთან და ივანიშვილთან გარიგების შესახებ. აშშ-სთვის ეს ჭორები არ არის. ამერიკელებს ფაქტებით დადასტურებული ინფორმაციები აქვთ. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოპოზიციის ნაწილს აფინანსებს ივანიშვილის ბიზნეს-პარტნიორი ვანო ჩხარტიშვილი. ივანიშვილთან კონფლიქტი რომ ჰქონდეთ, ივანიშვილის წრიდან დაფინანსდებოდნენ?!

***– ოპოზიცია დიდ პროტესტს აანონსებს.***

– გეგმის თანახმად, ეს პროტესტი წარიმართება ბოკერიას ეგიდით.

***– სააკაშვილი როგორ იმუშავებს თავის შტაბში?***

– შტაბს ალტერნატიული სახე აქვს. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ სააკაშვილი აპირებს მოქმედებას ნაციონალური მოძრაობის გარეშე. როგორც ჩანს, პარტია სააკაშვილის მითითებებით არ იმართება. მას აქვს შეუთავსებლობა გრიგოლ ვაშაძესთან, რომელსაც რუსეთთან თავისი კავშირები აქვს. რუსებს კი, როგორც გითხარით, სააკაშვილი აღარ სჭირდებათ. სააკაშვილს არ უნდა, პროცესებიდან გარიყული იყოს და ქმნის შტაბს.

ამ შტაბს უფრო დეკლარაციული ფუნქცია ექნება. სააკაშვილი ალტერნატიულ პოლიტიკურ პროცესებს ვერ წამოიწყებს. მას თვითონ არ აქვს გააზრებული, რა უნდა გააკეთოს. სააკაშვილი რუს კურატორებს და თავის ყოფილ მომხრეებს აღიზიანებს. რუსებმა სააკაშვილი ნაწილობრივ მას მერე ჩამოწერეს, რაც მან რუსეთის საგარეო დაზვერვის მიერ ორგანიზებული ევროპული ღონისძიებები ჩააგდო.

***– რომელი ღონისძიებები? ემიგრანტებს რომ ხვდებოდა და მათთან ერთად საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა?***

– დიახ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსეთის საგარეო დაზვერვის ორგანიზებით სააკაშვილს ემიგრანტებთან შეხვედრები მოუწყვეს. დარბაზებიც რუსებმა უქირავეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ყველაფერს რუსებისთვის არანაირი შედეგი არ მოუტანია, არადა, ფული ბევრი დაიხარჯა. სააკაშვილი უკვე ჩამოწერილია.

***– ისევ კეთდება განცხადებები იმაზე, რომ ამერიკელები ივანიშვილს პრემიერად დაბრუნებას სთხოვენ.***

– ამაზე უფრო აბსურდული აზრი წარმოუდგენელია. აშშ-ს რომ ივანიშვილი უმაღლეს თანამდებობაზე უნდოდეს, მის გაპრეზიდენტებას დათანხმდებოდა.

***– ივანიშვილს პრეზიდენტობა 2018 წელს უნდოდა?***

– ამერიკელებს ამაზე გზავნილები მისდიოდათ. ისინი პრეზიდენტად ივანიშვილის კანდიდატურას არ დათანხმდნენ. ივანიშვილმა შეთანხმებას ვერ მიაღწია. თუ პრეზიდენტად არ უნდოდათ, პრემიერად რატომ უნდა მოუნდეთ?!

რუსული შეკვეთით და ივანიშვილის სურვილით საქართველოში უამრავი აბსურდული ინფორმაცია ვრცელდება. არაინფორმირებული ხალხი აბსურდის მოსმენისას ვერ ხვდება, რომ ქვეყანაში რუსული პოლიტიკური თეატრი მოქმედებს, მისი სპექტაკლების ჩაშლა კი აშშ-ის დამსახურებაა.

# ნიკა გვარამია: „მოსამართლემ მთავარი არხის დირექტორობიდან მომხსნა“

## „სასამართლოში მხოლოდ კვირაში ერთხელ ვივლი“



„რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალდებული ნიკა გვარამია აცხადებს, რომ მოსამართლემ თებერვალში მისი პროცესების ხშირად ჩანიშვნით მას, ფაქტობრივად, „მთავარის“ დირექტორობა აუკრძალა.

გუშინ, 11 თებერვალს, გვარამიამ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ის სასამართლოში კვირაში მხოლოდ ერთხელ ივლის, თუნდაც აღკვეთის ღონისძიება პატიმრობით შეუცვალონ.

– ამ მოსამართლემ მე ახლა ამგვარი გრაფიკით ეფექტურად ამიკრძალა „მთავარის“ დირექტორობა, მან მომხსნა, ფაქტობრივად, ანუ ყოველ მეორე დღეს რომ პროცესია, მე წინა დღეს უნდა გავეცნო მასალებს, შეკითხვები უნდა დავსვა, ვიცოდე და მზად ვიყო იმიტომ, რომ ეს მოწმეების დაკითხვაა, შესაბამისად, მთელი თებერვალი, რომელიც მან ყოველ მეორე დღეს ჩანიშნა, სამსახურში არ უნდა ვიარო. ეს გამორიცხულია, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან თქვა, რომ არჩევანს „მთავარის“ სასარგებლოდ გააკეთებს.

– მე შემიძლია, პროცესს კვირაში ერთი დღე დავუთმო, მეტი მე არ მაქვს, ჩემი დასვენების ნახევარი დღე შაბათს რაც მაქვს, სხვა დღეს გადავიტანო და იმ დღეს პროცესზე ვიყო, სხვა დღე მე არ შემიძლია. მე არ მოვალ ამ პროცესებზე, ჩემ გარეშე ეს პროცესები ვერ ჩატარდება. პირდაპირ ვამბობ, მე არ ვაპირებ სასწრაფო გამოვიძახო, ცნობა მოვიტანო და „ავად ვარ, მიშველეთ“ ვიყვირო, გამორიცხულია, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, მოსამართლე არის ამ ავლიას თავლის ერთ-ერთი ბინძური ცხენი.

– მე მასთან აკადემიურ ფარგლებში კომუნიკაციის გაგრძელებას ნამდვილად არ ვაპირებ. ვივლი კვირაში ერთხელ ისე, რომ შევძლო ჩემი ტელევიზიის ხელმძღვანელობა და თუ უნდათ, შეცვალონ აღკვეთის ღონისძიება და შემიცვალონ პატიმრობით.

პატიმრობაში ჯდომა მირჩევნია იმას, რასაც ახლა ეს კაცი მთავაზობს. მატარონ ძალით პროცესებზე, პატიმრობაში გადაიხდიან პოლიტიკურ ფასს, წერტილი, ეს არის ჩემი ბოლო სიტყვა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გუშინდელ პროცესზე მოსამართლემ „რუსთავი 2“-ის საქმის გრაფიკი დაადგინა. მისი გადაწყვეტილებით, თებერვალში კიდევ 5 პროცესი ჩაინიშნა.

გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

ნიკა გვარამიას ასევე ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვას ედავება, რაც ჩადენილ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე, აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალად ედება კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება.

იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

# კოლეგიას, რომელმაც უგულავას პატიმრობა მიუსაჯა, შალვა თადუმაძე თავმჯდომარეობდა

## ნინო ლომჯარია: „საქმეში ბევრი ხარვეზი იკვეთება“

საქმის განხილვის დროს მოქმედი გენერალური პროკურორის მიერ იმავე საქმის მოსამართლის ამპლუაში განხილვა სამართლიანად აჩენს ეჭვებს მისი ობიექტურობის შესახებ.

ამის შესახებ სახალხო დამცველის განცხადებაშია აღნიშნული, რომლითაც ომბუდსმენი გიგი უგულავასთვის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასა და მის დაპატიმრებას ეხმიანება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გიგი უგულავას საქმიდან იკვეთება ხარვეზები როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობის, ისე კანონის საფუძველზე დანიშნული მოსამართლის საკითხთან დაკავშირებით.

– 2020 წლის 10 თებერვალს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ შეცვალა პირველი და მეორე ინსტანციების მიერ დადგენილი განაჩენი და პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერს გიგი უგულავას საბოლოო სასჯელის სახით 3 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნა.



აღნიშნულ კოლეგიას თავმჯდომარეობდა შალვა თადუმაძე – უზენაესი სასამართლოს ახალდანიშნული მოსამართლე, რომელიც აღნიშნული საქმის მეორე ინსტანციაში განხილვისას, ასევე, პროკურატურის მიერ საქმის საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების დროს გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებდა.

შალვა თადუმაძე აღნიშნულ საქმეზე სასამართლოში პროკურორად არ გამოდიოდა პირადად, თუმცა ეს ვერ გამოდგება არსებული კონტექსტის უგულებელსაყოფად – საქართველოს პროკურატურაში დადგენილია მკაცრად ვერტიკალური დაქვემდებარების სისტემა, სადაც ყველა ქვემდგომი პროკურორი ვალდებულია, ზემდგომი პროკურორის მითითება შეასრულოს, ხოლო პროკურატურის ყველა თანამშრომელი გენერალურ პროკურორს ემორჩილება, – ნათქვამია ნინო ლომჯარიას განცხადებაში.

ომბუდსმენი თვლის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს მოსამართლის პირადი დამოკიდებულება და ქცევა უნდა ქმნიდეს საზოგადოებაში მისი მიუკერძოებლობის განცდას. მოსამართლემ, რომლის მიკერძოებულობის მიმართაც აშკარა ეჭვი ჩნდება, საქმის განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

– ევროპულ სასამართლოს უკვე აქვს დადგენილი დარღვევა ისეთ საქმეში, სადაც პირი ერთი მხარის წინააღმდეგ ორ საქმეში მონაწილეობდა – პირველ შემთხვევაში გამოდიოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის როლში, ხოლო მოგვიანებით სხვა საქმეში იმავე პირის მიმართ მოსამართლის ფუნქციები შეითავსა. ნათელია, რომ საქმის განხილვის დროს მოქმედი გენერალური პროკურორის მიერ იმავე საქმის მოსამართლის ამპლუაში განხილვა სამართლიანად აჩენს ეჭვებს მისი ობიექტურობის შესახებ, – აღნიშნულია განცხადებაში.

სწორედ მსგავსი რისკების არიდებისკენ იყო მიმართული სახალხო დამცველის ძალისხმევა მოსამართლეთა შერჩევის პროცესში, რაც ეუთო/ოდირისთვის მიმართვაში, პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოსვლაში, პროცესზე სრულ მონიტორინგსა და საკონსტიტუციო სარჩელის მომზადებაში გამოიხატა.

საკუთარ სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველმა დააფიქსირა, რომ ვენეციის კომისიის უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციების არგაზიარებითა და პროცესის ნაჩქარევად, ხარვეზიანად წარმართვით, სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობა კიდევ უფრო შეირყეოდა.

– რეკომენდაციების არგაზიარების შემდგომ უმკაცრესი შეფასებები გააკეთეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, ეუთო-ოდირმა, ევროკავშირმა და არაერთმა სხვა ორგანიზაციამ. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში დამატებით გაესვა ხაზი შალვა თადუმაძის უმაღლესი განათლების საკითხს, რომლის გარშემოც შესაბამისი კითხვის ნიშნები არსებობდა. სამწუხაროდ, ამ საკითხის საწინააღმდეგო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე მოხდა საქართველოს პარლამენტის მიერ შალვა თადუმაძის მოსამართლედ არჩევა, – აცხადებს ომბუდსმენი.

მისი აზრით, გიგი უგულავას საქმიდან იკვეთება ხარვეზები როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობის, ისე – კანონის საფუძველზე დანიშნული მოსამართლის საკითხთან დაკავშირებით.

– საგულისხმოა, რომ საქმეში, სადაც მსგავსი შინაარსის, კერძოდ, მოსამართლის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით ხარვეზები იკვეთებოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა უკვე დაადგინა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თუკი აღნიშნული საქმის შემდგომი განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგრძელდება, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ კონკრეტულად გიგი უგულავას საქმის, არამედ მთლიანად, ქართული მართლმსაჯულებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებით დააკვირდება საქმის შემდგომ მსვლელობას და მანდატის ფარგლებში, გამოიყენებს მის ხელთ არსებულ უფლებამოსილებებს, – აღნიშნულია ნინო ლომჯარიას განცხადებაში.

# ახალგაზრდა ქალის დაჭრის ბრალდებით ყოფილი მეუღლე დააკავეს

გუშინ, 11 თებერვალს, ახალგაზრდა ქალის დაჭრის ბრალდებით მისი ყოფილი მეუღლე დააკავეს.



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1983 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 თებერვალს ყოფილი მეუღლე – თ.ე. ცივი იარაღით ყელის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა გ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გუშინვე ახალგაზრდა ქალი თბილისის ზღვის ჰოსპიტლიდან სახლში გაწერეს.

როგორც ინტერპრესნიუსს ჰოსპიტლის კლინიკურმა დირექტორმა კახი კარიაულმა განუცხადა, ახალგაზრდა ქალს ჭრილობები კისრის არეში აღენიშნებოდა.

ექიმის განმარტებით, პაციენტს ყველა შესაბამისი დახმარება დროულად გაეწია.

– სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ, დაახლოებით 21:00 საათზე, ქუჩიდან ახალგაზრდა ქალი შემოიყვანეს. მას კისრის მიდამოში აღენიშნება ნაკვეთი ჭრილობები და მცირე სისხლდენა, გაეწია ამბულატორული დახმარება. სათანადო კვლევებითა და კონსულტაციებით დგინდება, რომ სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება არ იყო, გაიკერა და შესაბამისი დახმარების აღმოჩენის შემდეგ ბინაზე გაეწერა, – განაცხადა კახი კარიაულმა.

# ავარიას სენაკში 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

გუშინ, 11 თებერვალს, სენაკში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მსუბუქი ავტომობილი შენობის კედელს შეეჯახა, რის შედეგად მძღოლი დაიღუპა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ბიძა 6 წლის დისშვილზე სექსუალურად ძალადობდა

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 6 წლის 2 გოგოზე სექსუალური ძალადობისთვის 33 წლის გიორგი ჯ.-ს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულმა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ოთახში, მეორე შემთხვევაში კი – სათონეში ორივე გოგო გააშიშვლა.

ერთ-ერთი დაზარალებული ბრალდებულის დისშვილია, მეორე გოგო კი, რომელზეც ბრალდებულმა ასევე იძალადა – მეზობელი.

ამ ფაქტს მეზობელი შეესწრო. სწორედ მან მიმართა პოლიციას.

პოლიციაში ფსიქოლოგებისა და სოცმუშაკების თანდასწრებით დაიკითხნენ დაზარალებულად ცნობილი 6 წლის ბავშვებიც. მათი თქმით, გიორგი მათ ეუბნებოდა, რომ საიდუმლოს შესახებ არავისთან ეთქვათ და ბიძიასთან ერთად ხშირად თამაშობდნენ დამალობანას.

ბრალდებული 2006 წელსაც იყო გასამართლებული გარყვნილი ქმედებისთვის. მან ციხეში წელიწად-ნახევარი გაატარა.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# კრამპ-კარენბაუერი გერმანიის კანცლერი არ გახდება

ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერი გერმანიის მმართველი პარტიის ქრისტიან- დემოკრატიული კავშირის ლიდერი იყო. ამ პოსტზე მან ანგელა მერკელი შეცვალა. ამჟამად კრამპ-კარენბაუერი, ანუ როგორც მას გერმანიაში უწოდებენ, აკკ (სახელისა და გვარის გამო), თავდაცვის მინისტრია.

ყველა მოელოდა, რომ მმართველი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში ის კანცლერის პოსტს დაიკავებდა. მოლოდინი არ გამართლდა.

– პარტიის გამარჯვების შემთხვევაშიც კი კანცლერობას არ ვაპირებ, – განაცხადა კრამპ-კარენბაუერმა.

ანგელა მერკელმა ამ აზრს მხარი დაუჭირა არა იმიტომ, რომ კანცლერის პოსტის შენარჩუნება სურს. მერკელი უკვე ხანშია. მას არც ჯანმრთელობა უწყობს ხელს. ფრაუ ანგელას უბრალოდ მიაჩნია, რომ კრამპ-კარენბაუერი კანცლერობას ვერ შეძლებს და მას ამაში ბევრი ეთანხმება.



კრამპ-კარენბაუერმა, როგორც ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, საქმეს ნამდვილად ვერ გაართვა თავი. მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბევრი გამოვიდა. პარტიაში შიდა დისციპლინა მთლიანად მოიშალა. ამისი ნათელი მაგალითია სკანდალი ტიურინგიაში. პარტიის იქაური ფილიალი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წავიდა და ადგილობრივ არჩევნებზე მხარი დაუჭირა მემარჯვენე პოპულისტურ ორგანიზაციის „ალტერნატივა გერმანიისათვის“ კანდიდატს.

„ალტერნატივა“ ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას მკაცრად აკრიტიკებს და რუსეთთან კავშირის მომხრეა.

ტიურინგიის სკანდალმა ნათლად წარმოაჩინა, რომ კრამპ-კარენბაუერი პარტიაში სიტუაციას ვერ ფლობს. შესაბამისად, გადაწყვეტილება კანცლერის პოსტზე უარის თქმის შესახებ უდავოდ სწორია.

ვინ შეცვლის კრამპ-კარენბაუერს პარტიის ლიდერის პოსტზე? ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს შესაძლოა მერცი ან შპანი იყოს.

– პარტიის ლიდერად მანამ დავრჩები, სანამ კანცლერის პოსტზე ქრისტიან-დემოკრატთა ახალი კანდიდატის ვინაობა გაირკვევა. ლიდერიც ის გახდება, – განუცხადა ჟურნალისტებს კრამპ-კარენბაუერმა.



# ისლამისტებმა ნიგერიაში 30 ადამიანი მოკლეს

ნიგერიის ქალაქ აუნოში 30 ადამიანი მოკლეს, ქალები და ბავშვები კი გაიტაცეს.

დანაშაული, სავარაუდოდ, ისლამისტმა მებრძოლებმა ჩაიდინეს.

გარდაცვლილთა უმეტესობა მოგზაური იყო, რომლებიც მაშინ დაწვეს, როცა ღამით საკუთარ ავტომობილებსა და მოტოციკლებში ეძინათ.

ინციდენტს ისლამისტურ დაჯგუფება „ბოკო ჰარამს“ უკავშირებენ, რომელიც ნიგერიაში 2009 წლიდან ნიგერიის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს და არაერთ სისხლიან ინციდენტთანაა დაკავშირებული.

ბოლო მონაცემებით, აღნიშნულ კონფლიქტს დღემდე 35.000 ადამიანი შეეწირა, 2 მილიონზე მეტი კი უსახლკაროდ დარჩა.

# „დავცურავთ ოკეანის გარშემო“

## საკრუიზო გემს პორტებში არ უშვებენ

საკრუიზო გემს ემეს ვესტერდამს უკვე მე-12 დღეა, სხვადასხვა პორტები მიღებაზე უარს ეუბნებიან. აღნიშნულის მიზეზი კორონავირუსის გავრცელების საფრთხეა.

ტაილანდი, გუამის, ფილიპინების და იაპონიის შემდეგ ბოლო ქვეყანაა, რომელმაც საკრუიზო გემს თავის პორტებში შესვლაზე უარი განუცხადა.

კრუიზში დამსვენებლებს ეუბნებიან, რომ მათ გადახდილ ფულს უკან დაუბრუნებენ და შემდეგ მოგზაურობას 100%-ით დაუფინანსებენ, თუმცა გემზე მყოფები აცხადებენ, რომ მათ ხმელეთზე გადასვლა სურთ.

– აქ არც ერთი მგზავრი არაა დაინფიცირებული. რაც ჰონგკონგი დავტოვეთ, ყველა პორტი უარს გვეუბნება, რომ მიგვიღოს. დავცურავთ ოკეანის გარშემო, – წერს ერთ-ერთი მგზავრი, ონსტედ მიჩი.

გემმა ჰონგკონგი იაპონიის მიმართულებით 1 თებერვალს დატოვა. მასზე 2.257 მგზავრი იმყოფება.





# ირლანდია: არჩევნებში ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს

ირლანდიის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალისტურმა ორგანიზაცია „შეინ ფეინმა“ გაიმარჯვა.

ეს ორგანიზაცია ირლანდიის რესპუბლიკური არმიის პოლიტიკურ ფრთად ითვლებოდა და ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთიდან გამოყოფისათვის იბრძოდა.

– ჩვენი ამოცანა ჩრდილოეთ ირლანდიის და დანარჩენი ირლანდიის გაერთიანებაა, – განაცხადა ნაციონალისტების ლიდერმა მერი მაკდონალდმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ომის მარტოხელა ვეტერანის დასაფლავებას ორასზე მეტი უცნობი ადამიანი დაესწრო

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ნიუარკის მკვიდრი 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად 200-ზე მეტი უცნობი ადამიანი მივიდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჯიმი აუტონმაა ბომბდამშენით 37-ი საბრძოლო გაფრენა განახორციელა. ბოლო სამხედრო მისიის დროს ის სერიოზულად დაიჭრა. მამაკაცს დაუზიანდა ფილტვები და ცალი თვალი დაკარგა. აუტონი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი იყო და ასევე მამაცობის 19 მედლით იყო დაჯილდოებული.

მეორე მსოფლიო ომის გმირი თავისუფლად ლაპარაკობდა ექვს ენაზე. ომის შემდეგ მას ბრიტანეთის დაზვერვაში სამსახურს სთავაზობდნენ, მაგრამ უარი განაცხადა. აუტონმა ინჟინრის კარიერა ამჯობინა.

მისი მეუღლე პეგი 2016 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ ის მარტო ცხოვრობდა და შიშობდა, რომ მის დასაფლავებაზე არავინ მივიდოდა. ომის ვეტერანი იანვრის ბოლოს გარდაიცვალა.

მარტოხელა ვეტერანის დასაფლავების ორგანიზება დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა მოაწყვეს, რომელსაც 200-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. მის სასახლესთან სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების საპატიო ყარაული იყო განლაგებული. სახელმწიფო დროშა გადაფარებული სასახლე ეკლესიაში ამავე ორგანიზაციის მოქმედმა და ყოფილმა ოფიცრებმა მიასვენეს.



# ალიგატორმა პითონი დაგლიჯა და შეჭამა

ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარე ევერგლეიდსის ეროვნულ პარკში ალიგატორმა ვეფხვისებური პითონი შეჭამა, რომელიც ადგილობრივი ცხოველების განადგურებით იყო დაკავებული. ამის ამსახველი ვიდეო ტვიტერში პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.



რამდენიმე დღის წინ ევერგლეიდსის წარმომადგენლებმა პარკის დამთვალიერებლის რიჩარდ პეტროვსკის მიერ გადაღებული ვიდეო გამოაქვეყნეს.

– ეს მუქი ფერის ვეფხვისებური პითონი ჩვენი, ამერიკული ალიგატორის ტოლსწორად არ გამოდგება, – დაწერეს ვიდეოს კომენტარში პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, – იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ანადგურებენ ჩვენ ეკოსისტემას ეს პითონები, გვახარებს ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ცხოველებს შორისაც მოიძებნება ისეთები, რომლებსაც მათი განადგურება ხელეწიფებათ.

კადრებში ჩანს, თუ როგორ დაგლიჯა ალიგატორმა პითონი და შემდეგ აუღელვებლად ჩაწვა წყალსატევში. მოკლე დროში აღნიშნულმა ვიდეორგოლმა ათასობით ნახვა და მოწონება მიიღო.

# მამაკაცი ძაღლებისგან მეზობლის დაცვას შეეცადა და შემთხვევით შემოაკვდა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ადამსის მცხოვრებმა შემთხვევით საკუთარი მეზობელი მოკლა, რომელსაც თავს ორი პიტბული დაესხა.

მამაკაცმა თავისი სახლის გვერდით ხმაური გაიგონა და იმის სანახავად მიირბინა, გაეგო თუ რა ხდებოდა. მან დაინახა, რომ მის მეზობელს თავს ორი ძაღლი დაესხა. ის თავის სახლში დაბრუნდა, აიღო არბალეტი და აგრესიული ცხოველების მოკვლა სცადა. თუმცა მისმა ნასროლმა ისარმა ერთ-ერთი პიტბული მხოლოდ დაჭრა, კარში გაიარა, რომლის უკანაც ცდილობდა მეზობელი ძაღლებისგან თავის შეფარებას, და მეზობელს მოხვდა.

სამაშველო სამსახურში მრავალი დარეკვის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე მივიდნენ პოლიციელები, რომელთაც ტაბელური იარაღიდან გასროლით დახოცეს აგრესიული პიტბულები, შემდეგ კი მსხვერპლის ბინაში შევიდნენ. იქ მათ არბალეტის ისრით განგმირული ბინის პატრონი აღმოაჩინეს. მეზობელ ოთახში იმყოფებოდა ბავშვი, რომელიც ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

პოლიციელები თვლიან, რომ სახლის პატრონი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მეზობელი, რომელმაც არბალეტიდან გასროლა განახორციელა, გამოძიებასთან თანამშრომლობს.

პოლიცია, ცხოველთა ზედამხედველობის სამსახური და საოლქო პროკურორის ოფისი მომხდარის სრულ გამოძიებას ჩაატარებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# შენგელია გასული წლის ლიგა ენდესას საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს



თორნიკე შენგელიას მორიგი დიდი აღიარება – ბასკონიის ქართველი კაპიტანი ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის, ლიგა ენდესას წლის გიგანტად დაასახელეს.

ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია ისტორიაში 32-დ გაიმართა და ლიგა ენდესას საუკეთესო მოთამაშის ტიტული ქართველ მძიმე ფორვარდს ერგო. თორნიკეს სპეციალური პრიზი ლიგა ენდესას გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ხიმენეს სოლერმა გადასცა.

ამასობაში შენგელია ოლიმპია მილანოს დაუკავშირეს. როგორც აპენინური მედია წერს, იტალიური გუნდის ზაფხულის სატრანსფერო გეგმებზე პირველი ცნობები გავრცელდა. შენგელია კი, შესაძლოა, იტალიის საუკეთესო გუნდის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყოს. ლომბარდიელთა ინტერესი არც ისე დიდი ხნის წინ ორაციო კაუჩიმ დაადასტურა, რომელიც ადგილობრივი რეპორტიორია.

**ორაციო კაუჩი:**

– შენგელია მილანში ძალიან მოსწონთ, ეს არ იქნება ადვილი, რადგან ბასკონიასთან გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს და კლუბის სიმბოლოა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არის კალათბურთელი, რომელიც ოლიმპია მილანოში ძალიან მოსწონთ.

თორნიკეს ბასკონიასთან კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული და ამ პერიოდის განმავლობაში 6.5 მილიონი ევრო უნდა გამოიმუშავოს.

შენგელია მიმდინარე სეზონში ლიგა ენდესაში საშუალოდ 33 წუთში 16 ქულას, 6 მოხსნას, 2.6 პასს, 0.4 დაფარებასა და 1.4 ჩაჭრას აგროვებს, ხოლო ევროლიგაში მისი საშუალო მონაგარი ასეთია: 31 წუთი, 15.8 ქულა, 5.7 მოხსნა, 2.7 პასი, 0.5 დაფარება და 0.9 ჩაჭრა.

# ილიას ზუროსმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

20 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. ჩვენს გუნდს ევროპირველობის საგზური მოპოვებული აქვს, რადგან ერთ-ერთი თანამასპინძელია. თუმცა ეს შესარჩევი ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს.

ეროვნული გუნდის შეკრება 16 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება, ხოლო პირველ მატჩს ილიას ზუროსის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები შვეიცარიასთან გამართავს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ შვეიცარიის გარდა ჩვენი მეტოქეები სერბეთისა და ფინეთის ნაკრებები იქნებიან.

ზუროსმა 24 კანდიდატი დაასახელა, საიდანაც შეკრების დაწყებამდე სამწვრთნელო შტაბთან ერთად იმ კალათბურთელებს შეარჩევს, რომლებიც 16 თებერვალს ვარჯიშს შეუდგებიან:

გიორგი ცინცაძე, ლუკა ბულაშვილი, ნიკა გაფრინდაშვილი, დავით კაკუშაძე (ყველა დინამო), რატი ანდრონიკაშვილი, ოთარ ფხაკაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჯანიძე, აკაკი დვალიშვილი, ილია ლონდარიძე (ყველა რუსთავი), ლუკა ზაქრაძე, სანდრო სანაძე, გიორგი კორსანტია, გიორგი ტურძილაძე (ყველა თსუ), მაიკლ დიქსონი (ნიმბურკი, ჩეხეთი), თად მაკფადენი (ბურგოსი, ესპანეთი), ირაკლი სულხანიშვილი (ვერა), დუდა სანაძე (ოლივერენსე, პორტუგალია), მიხეილ ბერიშვილი (ალ შამალი, ყატარი), ალექსანდრე ფევაძე (ბათუმი), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), ბექა ბურჯანაძე (გრან კანარია, ესპანეთი), ბექა ბექაური (ქუთაისი), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი).

წინასწარ არ არის ცნობილი, რამდენი მოთამაშით დაიწყებს ზუროსის გუნდი შეკრებას – საბოლოო რაოდენობა 14 და 15 თებერვალს დაგეგმილი სუპერლიგის მე-13



ტურის დასრულების შემდეგ დადგინდება.

ფიბა-სა და ევროლიგას შორის დაულაგებელი ურთიერთობის გამო საკუთარი ქვეყნის ნაკრებებში ვერ იასპარეზებენ ევროლიგის გუნდებში მოთამაშე კალათბურთელები. ამის გამო ჩვენს ნაკრებს ვერ დაეხმარება ესპანური ბასკონიის კაპიტანი თორნიკე შენგელია. ზუროსი ასევე ვერ გამოიყენებს ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე გოგა ბითაძესა და სტუდენტური ლიგის (ნცაა) ქართველებს.

საქართველოს ნაკრები 16, 17, 18 და 19 თებერვალს ვარჯიშებს სპორტის სასახლეში გამართავს, რის შედეგადაც საბოლოოდ შეირჩევა გუნდის ძირითადი, 12-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც თბილისში – შვეიცარიას, 23 თებერვალს კი ბელგრადში სერბეთს დავუპირისპირდებით.

# კლინსმანმა ჰერტას მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა

ბერლინის ჰერტას მთავარ მწვრთნელად დანიშვნიდან 10 კვირის შემდეგ 55 წლის იურგენ კლინსმანმა პოსტი დატოვა. ამის შესახებ კლინსმანმა სოციალურ ქსელში დაწერა.

**იურგენ კლინსმანი:**

– როგორც მწვრთნელს, ის სანდო ხალხი მჭირდება, რომლებიც ბოლომდე საქმეში არიან და იმ მიზნისკენ ისწრაფვიან, რაც კლუბმა დაგვისახა. ზერელე დამოკიდებულებას ვერ ვიტან. ერთობა და კონცენტრაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გადარჩენისთვის ბრძოლაში შეიძლება დაგვეხმაროს. ჰოდა, სადაც ეს ელემენტები გარანტირებული არ არის, იქ ჩემი ადგილი არ არის, იქ ჩემს პოტენციალს ვერ გამოვიყენებ, შესაბამისად კი ვერც იმ მიზნამდე მივალ, რაზეც პასუხისმგებელი ვარ.



ამ ეტაპზე კლინსმანის გადადგომა ჰერტას ვებგვერდს არ დაუდასტურებია.

პოსტიდან წასვლის შემდეგ კლინსმანი ჰერტას სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ბრუნდება.

გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბერლინურ კლუბს სათავეში 2019 წლის 27 ნოემბერს ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით ჰერტამ ბუნდესლიგაში 9 მატჩი ჩაატარა (3 მოგება, 3 ფრე, 3 მარცხი), ხოლო 1 შეხვედრა გერმანიის თასზე გამართა და შალკესთან დამატებით დროში წააგო.

ბუნდესლიგაში ჰერტა 23 ქულით მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას 6 ქულით უსწრებს.

# გვარდიოლა იუვენტუსს უნდა



მიმდინარე სეზონში ტურინის იუვენტუსი იტალიის სერია ა-ში ისე ვერ დომინანტობს როგორც გასულ წლებში. ახალი მწვრთნელის მაურისიო სარის მუშაობით უკმაყოფილო არა მარტო გულშემატკივარი, არამედ კლუბის ხელმძღვანელობაც არის.

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იუვენტუსის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელის, სარის შერყეულ პოზიციებზე. ფაქტია, კლუბის ხელმძღვანელობაში უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მოქმედი ჩემპიონი მორიგი სკუდეტოსთვის ბრძოლაში, კონკურენტების (ინტერისა და ლაციოს) ფონზე მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. თანაც, ტურინელებმა სერია ა-ს ბოლო 3 მატჩიდან 2 წააგეს და ცხრილში ლიდერობა მილანის ინტერს დაუთმეს.

იტალიურ მედიაში გამოითქვა ვარაუდი, რომ „ბებერი ქალბატონი" სარის სეზონის დასრულების შემდეგ დაემშვიდობება, მის ადგილზე კი მასიმილიანო ალეგრის დააბრუნებს.

თუმცა, ტურინული კლუბის ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო მეტი „მოინდომა" და მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ხოსეპ გვარდიოლას მიწვევა სურს. ამის შესახებ ბრიტანულ მედიაში აქტიურად წერენ და იუწყებიან, რომ ამით, პირველ რიგში, იტალიური კლუბის პრეზიდენტი ანდრეა ანიელია დაინტერესებული.

ანიელი მიიჩნევს, რომ მანჩესტერ სიტის ამჟამინდელ თავკაცს შეუძლია, იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგაში ნანატრ გამარჯვებამდე მიიყვანოს. ტურინული კლუბი მზადაა, 49 წლის ესპანელი სპეციალისტის ყველა პირობას დასთანხმდეს, ოღონდ კი იტალიაში გადაბარგებაზე დაიყოლიოს.

ცნობისთვის, ტურინული კლუბი ესპანელი სპეციალისტის მიწვევით ჯერ კიდევ მაშინ იყო დაინტერესებული, როდესაც 2019 წელს თანამდებობა ალეგრიმ დატოვა. მაშინ პეპის გადაბირება ვერ მოხერხდა, გუნდი კი სარის ჩააბარეს.

რამდენიმე ბრიტანული ტაბლოიდი იმასაც კი წერს, რომ პეპს იუვესთან კონტრაქტზე შეთანხმება უკვე მიღწეული აქვს, ჯერი კი სიტისთან მოლაპარაკებაზეა მიმდგარი.

გვარდიოლას მუშაობას ისიც გაუიოლებს, რომ ესპანელმა სპეციალისტმა იტალიური ენა შესანიშნავად იცის, იგი 2001-03 წლებში ბრეშასა და რომას რიგებში თამაშობდა.

ხოსეპ გვარდიოლას, რომელსაც ბარსელონასთან ერთად ჩემპიონთა ლიგა ორჯერ (2008-09 და 2010-11 წლებში) აქვს მოგებული, მანჩესტერ სიტისთან კონტრაქტი 2021 წლის ივნისამდე აკავშირებს. ესპანელი სპეციალისტის ხელფასი, მედიის ინფორმაციით, წელიწადში 23,5 მილიონ ევროს შეადგენს.

61 წლის სარიმ კი იუვენტუსი 2019 წლის ზაფხულში ჩაიბარა და კლუბთან ხელშეკრულება 2022 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

# კოუტინიოს ბარსელონაში დაბრუნება არ სურს

ბაიერნში იჯარით მყოფი ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო მიუნხენში თავს კარგად გრძნობს და მას ბარსელონაში დაბრუნების სურვილი არ აქვს. კატალონიის რადიოს ინფორმაციით, 27 წლის ფეხბურთელმა „ბლაუგრანას" ეს პოზიცია უკვე გააცნო.

კოუტინიოს მომავალი ისევ გაურკვეველია. ცნობილია, რომ ბარსელონას მისი სარფიანად გაყიდვა სურს. ასევე ვრცელდება ცნობები, რომ კატალონიელთა ახალი მწვრთნელი კიკე სეტიენი ბრაზილიელის დიდი გულშემატკივარია, თუმცა ჯერ ისიც არ არის ცნობილი, იქნება თუ არა სეტიენი ბარსელონის მწვრთნელი მომდევნო სეზონშიც.

ბაიერნთან არსებული შეთანხმების მიხედვით, მიუნხენურ გუნდს სეზონის ბოლოს კოუტინიოს 120 მილიონ ევროდ გამოსყიდვის უფლება აქვს. „რე-



კორდმაისტერს" გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, გერმანელები დათანხმდნენ, ამხელა თანხა გადაიხადონ ფეხბურთელში, რომელიც მასზე დამყარებულ იმედებს ბოლომდე ვერ ამართლებს.

ბაიერნის რეკორდული შენაძენი ლუკას ერნანდესია, რომელშიც მიუნხენელებმა 80 მილიონი ევრო გადაიხადეს.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# კატამ პატრონს უკბინა და დაღუპვას გადაარჩინა

რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში კატამ თავისი ხანში შესული პატრონი ცეცხლში დაღუპვისგან გადაარჩინა.

პენსიონერ ქალბატონს მაგრად ეძინა და ვერ გაიგო, რომ სამზარეულოში ქურასა და მაცივარს ცეცხლი წაეკიდა. როდესაც ბინა ბოლით გაივსო, მისი კატა, სახელად ალექსეი, პატრონის გაღვიძებას შეეცადა. ის ხმამაღლა კნაოდა, ლოყებში თათებს ურტყამდა, მაგრამ ქალი ამ ყველაფერზე არ რეაგირებდა. მართალია მას ხმები ჩაესმოდა, თუმცა ძილბურანიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. ბოლოს ცხოველი იძულებული გახდა, მისთვის კისერზე ეკბინა. გამოფხიზლებულმა ქალმა ბოლის შესუნთქვა მოასწრო და ამის გამო ძლივს მიაღწია მეზობლამდე, რომელიც მას სახანძროს გამოძახებაში დაეხმარა. მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე შეტყობინებიდან ხუთ წუთში მივიდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. თხელი ფურცლოვანი რკინა; 2. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. ძვირფასი ქვის, მარჯნის ქართული სახელწოდება; 5. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის" ლიდერი; 6. შვედური ავტომობილი; 7. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 11. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. იტალიური ლიქიორი; 14. ღვინის სასმისი; 15. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 16. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 17. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 19. კურკოვანი ხილი; 20. ბილიარდის მაგიდის ნაწილი.

**თარაზულად**: 1. ქართული გეოდეზიური სკოლის ფუძემდებელი; 4. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანურ ქვეყნებში; 8. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა ან ორნამენტი; 10. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 12. ყურის ექიმი; 14. პოპულარული მატონიზირებელი სასმელი; 15. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ჰიმალაებში გავრცელებული პატარა დათვი; 18. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 21. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 22. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 23. უნგრელთა მეორე სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქუვეითი; 2. ნუვორიში; 3. თრილერი; 5. კოსტიოლი; 7. ჰელიოსი; 9. მიკოლოგია; 13. ბოქსიტი; 15. ეგზოტი; 16. ბოლერო; 18. კროლი.

**თარაზულად:** 4. დუმპკარი; 6. უზუნდარა; 8. შემასმენელი; 10. ნაირობი; 11. კურუ; 12. ოსტანი; 14. ჩელსი; 17. პონტო; 19. აზოტი; 20. შევჩენკო; 21. აუდი; 22. კინოდრომი; 23. ხინკალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კამორა; 2. რიოში; 3. სურო; 5. ჯეჯილი; 6. სტელა; 7. კონუნგი; 11. მურსია; 13. სტაპელი; 14. პრესა; 15. ბერნინი; 16. ონაგატა; 17. ბუფონი; 19. ეზოპე; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. რკონი; 9. ჯამე; 10. ორშიმო; 12. სუფრული; 14. პესო; 15. ბილინგვა; 16. ომეგა; 18. კონტე; 21. ფობია; 22. ტერნერი; 23. პანკისი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8698

ევრო — 3.1330

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7084

100 რუსული რუბლი — 4.4900

## ამინდის პროგნოზი 12 თებერვლისთვის








11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

# სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## მესუთ ოზილი: „არტეტასთან გაცილებით ბედნიერები ვართ“

არსენალის გერმანელმა ნახევარმცველმა მესუთ ოზილმა ახალ მთავარ მწვრთნელ მიკელ არტეტაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი მოსვლის შემდეგ გუნდში უფრო ჯანსაღი ატმოსფეროა და ფეხბურთელები ბევრად უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი.

– ბოლო შეხვედრებში გუნდს პროგრესი ეტყობა და ეს არტეტას დამსახურებაა, რადგან მისი მოსვლის შემდეგ გუნდში ატმოსფერო შეიცვალა. ვფიქრობ, ჩვენ ვპროგრესირებთ და მომავალში კიდევ უფრო გავძლიერდებით, – განაცხადა ოზილმა.

## პელეს სიარული უჭირს



ფეხბურთის ლეგენდის პელეს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ამის შესახებ ინფორმაციას მისი ოჯახი ადასტურებს.

ბოლო პერიოდში პელეს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს და მას ექიმები მეთვალყურეობენ. ასეთი მდგომარეობის გამო საფეხბურთო ლეგენდას დეპრესიაც აქვს და მისი ოჯახის წევრები მის მდგომარეობაზე ნერვიულობენ.

პელეს ჯანმრთელობის პრობლემები რამდენიმე თვის წინ დაეწყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ორანგუტანგმა გველების გარემოცვაში მყოფ ადამიანს დახმარების ხელი გაუწოდა

კუნძულ ბორნეოზე ორანგუტანგი შეეცადა გველებით სავსე მდინარეში მყოფ ბუნების დამცველს დახმარებოდა და მას ხელი გაუწოდა.

ბორნეოზე ორანგუტანგების გადარჩენის ფონდის თანამშრომელი, რომლის ვინაობა უცნობია, ნაკრძალში მდებარე მდინარეში ჩავიდა, რათა ის გაეწმინდა გველებისგან, რომლებიც ორანგუტანგისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. მამაკაცი მკერდამდე იდგა ამღვრეულ წყალში.

ველური ორანგუტანგი ამ ყოველივეს ნაპირიდან ადევნებდა თვალს, შემდეგ კი ახლოს მივიდა და ადამიანს დასახმარებლად ხელი გაუწოდა. ბუნების დამცველმა მისი შეთავაზება არ მიიღო და მდინარიდან დამოუკიდებლად ამოსვლა ამჯობინა, ვინაიდან ის მისთვის უცნობი მაიმუნი იყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

რუსს ეკითხებიან:

– საკუთარი ქვეყნის პატრიოტი ხარ?

– რა თქმა უნდა!

– მაშინ რატომ დადიხარ უცხოური მარკის მანქანით და არა რუსულით?

– იცით რა, პატრიოტიზმს დებილობაში ნუ ურევთ!

●●●

ბიჭი თანაკლასელს ეტრაბახება:

– გუშინ მამასთან ერთად რესტორანში ვიყავი, რა აღარ ვჭამეთ, ხაჭაპურები, ხინკალი, ქაბაბი, მწვადი, ზუთხი, ხიზილალა, კინაღამ მუცლები დავგვისკდა ჭამისგან...

– რატომ? ფული აღარ გეყოთ?

●●●

– წითელქუდა! – წამოიძახა მგელმა.

– ბეწვის ქურქი! – წამოიძახა წითელქუდამ.

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ვინ არის მამაჩემი?

– თოვლის პაპა, შვილო.

– ეს როგორ?

– ღამით მოვიდა, გაგაკეთა და იმის მერე თვალით აღარ მინახავს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მგონი, ცოლი მღალატობს!

– საიდან დაასკვენი?

– ბიჭო, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადავედი საცხოვრებლად, სანტექნიკოსი კი იგივეა!

## სადიო მანემ ტრავმა მოიშუშა



ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ ტრავმა მოიშუშა და მზად არის, მოედანზე 90 წუთი ითამაშოს. მანეს მცირე ტრავმა აწუხებდა, რის გამოც მან რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ მისი არყოფნა ლივერპულს არ დასტყობია და იურგენ კლოპის გუნდი კვლავინდებურად აგრძელებს მოგებების სერიას.

18 თებერვალს ლივერპული ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრას გამართავს სტუმრად ატლეტიკოსთან და იმ მატჩში მანე ლივერპულს აუცილებლად დასჭირდება.

სადიო მანეს ანგარიშზე წლევანდელ სეზონში 12 გატანილი გოლია.

## სოლსკიაერმა ბრუნო ფერნანდეში შეაქო



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერის ახალწვეული ბრუნო ფერნანდეში შეაქო და თქვა, რომ პორტუგალიელი მოედანზე ყოველთვის სწრაფ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს იღებს:

– მისი თამაშით აღფრთოვანებული ვარ, რადგან ძალიან მაღალი საფეხბურთო ინტელექტი აქვს და მოედანზე ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებს. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში უფრო მოუმატებს და ახალი ლიდერი გვეყოლება.

ბრუნო ფერნანდეში პოლ პოგბამაც შეაქო.

## გატუზო, შესაძლოა, ნაპოლიდან გაუშვან



ნაპოლის მთავარი მწვრთნელი ჯენარო გატუზო, შესაძლოა, გუნდიდან მალე გაუშვან, რადგან მისი ხელმძღვანელობით ნაპოლი კიდევ უფრო უარეს შედეგებს აჩვენებს.

გატუზო გუნდის კრიზისიდან გამოყვანის გამო მოიყვანეს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთება ვერ მოახერხა და ნაპოლი ამჟამად იტალიის ჩემპიონატში მე-11 ადგილზეა.

გუნდმა ბოლო შეხვედრა საკუთარ მოედანზე ლეჩესთან წააგო.

თებერვლის ბოლოს ნაპოლი ბარსელონას შეხვდება და იმ შეხვედრაში, შესაძლოა, მას უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავდეს.

## ქეთი გაბისიანის კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდულია



25 თებერვალს კომპოზიტორი ქეთი გაბისიანი კონცეპტუალურ საღამოს გამართავს.

რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე დაგეგმილ კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

კონცერტზე შესრულდება ქეთი გაბისიანის ცნობილი ნაწარმოებები, რომლებსაც მსმენელისთვის იმღერებენ ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნინო ქათამაძე, ნუკრი კაპანაძე, აჩიკო ნიჟარაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ნათია პერანიძე, გიორგი მეფისაშვილი, გიორგი კელაპტრიშვილი, ლიზა კალანდაძე, სოფო გელოვანი, შვიდკაცა, თეატრალურის კვარტეტი, ქვინთენსი.

საღამოზე სპეციალურ ნომრებს წარმოადგენენ გიორგი ცაგარელი, პაპუნა შარიქაძე, ლუკა თოფურია, ნინო გულიაშვილი, ლაშა დეისაძე.

კონცერტში მონაწილეობენ ინსტრუმენტალისტები ლევან დეისაძე, პაატა ანდრიაძე, ზაზა ცერცვაძე, ირაკლი მენთეშაშვილი, უჩა მეტრეველი და დათო ჯაფარიძე.

ქეთი გაბისიანის საღამოს რეჟისორია ბაკურ ბაკურაძე, ორგანიზატორი კი – საავტორო უფლებათა ასოციაცია.

## გიორგი სისაურის ნამუშევრები ბულგარეთში გამოიფინება



ახალგაზრდა ქართველი კალიგრაფის გიორგი სისაურის ნამუშევრები ბულგარეთში გამოიფინება.

19 თებერვალს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ხელოვანის პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

„სამოთხის შეხება“ – ასეთია ექსპოზიციის სახელწოდება, რომელიც ავტორის მიერ შექმნილ ქართული ანბანის 38 საზედაო ასოსა და მის მიერ წლების განმავლობაში შექმნილ მინიატურებსა თუ გრაფიკულ ნამუშევრებს აერთიანებს.

გამოფენა სოფიაში, სან სტეფანო გალერეაში, ორი კვირის განმავლობაში 6 მარტის ჩათვლით იქნება წარმოდგენილი.

გიორგი სისაური ახალგაზრდა ქართველი კალიგრაფი და მხატვარია, რომელიც 7 წლიდან ხატავს ბიბლიურ სცენებს, პორტრეტებს, ფიგურატიულ და აბსტრაქტულ კომპოზიციებს.

მისი პირველი პერსონალური გამოფენა 2010 წელს შედგა, ხოლო მისი ნამუშევრები 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ხელოვნების პროგრამის ფარგლებში, ოფენბახის შრიფტის მუზეუმში იყო გამოფენილი.

ახალგაზრდა ქართველი მხატვრისა და კალიგრაფის ნამუშევრები 2016 წელს საჩუქრად რომის პაპ ფრანცისკეს გადაეცა. გიორგი სისაურს გაფორმებული აქვს შანელის მოდის სახლის მოსაწვევები და ღია ბარათები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 12 თებერვლისთვის



**ვერძი** – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ავტორისეული შენიშვნა-განმარტება ტექსტში; 2. მდინარე ვაშინგტონში; 3. მდინარე ამაზონში ბინადარი მტაცებელი თევზი; 5. მოლდავეთის დედაქალაქი; 7. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ერთ-ერთი ტიპი; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ნაკურთხი წყალი; 16. საჭმელი სოკო; 18. მუზეუმი ფლორენციაში.

**თარაზულად**: 4. ძველებური ქალის ხელჩანთა; 6. პირობითი სასჯელი; 8. სამთო ინჟინერი; 10. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 11. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 12. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 14. მანძილის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში; 17. პოპულარული ნიდერლანდური ყველი; 19. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 20. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკოსი; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. უკულტურო, ველური ადამიანი; 23. ცნობილი ფრანგი მეტალურგი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

